MES 3 23 0000730940

20/06/2023

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 06.06.2023
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 19:50 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: რატი რატიანი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **რატი რატიანი -** შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის" საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი **- საბჭოს მდივანი**

3. **ნინო ბაქრაძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კამერული ანსამბლის და კვარტეტის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
4. **ირინე ებრალიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის ცენტრის ჯაზის ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
5. **ხათუნა თოდაძე -** სსიპ -თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;
6. **მარინე მაისურაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
7. **ერმილე მესხია** - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი
8. **ლევან ნიკოლეიშვილი** - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი;
9. **მარინა ქავთარაძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი;
10. **ქეთევან ქუთათელაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
11. **ნინო ღაღანიძე** - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
12. **თინათინ ჭაბუკიანი** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ტელევიზიის პროდიუსერი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
13. **ნინო ჭალაგანიძე -** შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმარულების ასოცირებული პროფესორი;
14. **გურანდა ჭელიძე** - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორი;
15. **მამუკა ხუსკივაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
16. **ქეთევან ქუთათელაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
17. **თამარ სირაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი;
18. **ლაშა ჩხარტიშვილი** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

№	**სახელი, გვარი**	**სტატუსი**
1	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

2	თამთა ანთიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

№	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ბორის ლეჟავა	შპს კავკასიის უნივერსიტეტი	ვიცე-პრეზიდენტი კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დარგში	I
2	დიანა მჭედლიშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი	I
3	შოთა ნიჟარაძე		კავკასიის ტექნოლოგიების სკოლის დეკანი	I
4	გიორგი დობორჯგინიძე		პროგრამის ხელმძღვანელი	I
6	თეა კორძაძე	სსიპ - აკაკის წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II
7	ნანა შონია		ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი	II
8	თენგიზ კუპრაშვილი		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II
9	ია ჩხეიძე		სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის "სამართალი" ხელმძღვანელი	II
10	მარინე მარინაშვილი		სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის "სამართალი" ხელმძღვანელი	II
11	ნათია სამუშია	შპს თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტი	პრორექტორი	III
12	მარინა ქარჩავა		პრორექტორი	III
13	ანკა თაბუკაშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი	III
14	მარიამ მოქია		ხარისხის უზრუნველყოფის	III

			სამსახურის კოორდინატორი	
15	ქეთევან ვაჩეიშვილი	სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	პროფესორი, სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	IV
16	სოფიო თავაძე		ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი, განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტერტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	IV
17	ნინო მამულაძე		ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	IV
18	დავით მახვილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	V, VI, VII
19	ხათუნა მხეიძე		სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე	V, VI, VII
20	ნუგზარ წერეთელი		სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანი	V, VI, VII
21	მაია მშვილდაძე		სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის	V, VI, VII

			ფაკულტეტის დეკანის მოადგილე	
22	მამუკა მაისურაძე		სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	V, VI, VII
23	ზურაბ გვიშიანი		სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი	V, VI, VII
24	მარინა ჯავახიშვილი		სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	V, VI, VII
25	ალექსანდრე ბაგრატიონ-დავითაშვილი		„სამოქალაქო ინჟინერიის“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	V, VI, VII
26	ლეილა გვერდწითელი		„გარემოსდაცვითი ინჟინერიის“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	V, VI, VII
27	დიმიტრი ერისთავი		პროფესორი	V, VI, VII
28	ირმა ინაშვილი		პროფესორი	V, VI, VII
29	კოტე ბზიავა		ასოცირებული პროფესორი	V, VI, VII
30	თინათინ დათიაშვილი		სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი	V, VI, VII

აკრედიტაციის ექსპერტები:

№	**სახელი, გვარი**	**ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ**	**საკითხი**
1	დავით სიხარულიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	გიორგი მახარობლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
3	ნანი არაბული	(ჩაერთო „ზუმით“)	III
4	მაქსიმ იავიჩი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
5	ეკა ლეკაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
6	კარლო ადამო (Carlo Adamo)	(ჩაერთო „ზუმით“)	V
7	ინგა ბოჭოიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
8	სოფიკო ფაცაცია	(ჩაერთო „ზუმით“)	V
9	თამთა კობახიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
10	გიორგი მღვდელაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
11	მამუკა ბენაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
12	ციცინო თურქაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
13	ქრისტინე ჩიხლაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
14	მირანდა ნონიკაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
15	პაატა გერაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VII

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს კავკასიის უნივერსიტეტის და გამოყენებითი მეცნიერებების ტექნიკური უნივერსიტეტი ვილდაუის (გერმანია) „ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტის“ (ერთობლივი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
2. სსიპ - აკაკის წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. შპს თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტის "ელექტრო და კომპიუტერული ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „კულტურის მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,გარემოსდაცვითი ინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "სამოქალაქო ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- კი

ცენტრის წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა, რომ 2023 წლის 06 ივნისის აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე განხილულიყო სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ქიმიის“ სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედეტიტაციის საკითხი, რომელიც გადმოტანილ იქნა წინა სხდომიდან.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს კავკასიის უნივერსიტეტის და გამოყენებითი მეცნიერებების ტექნიკური უნივერსიტეტი ვილდაუის (გერმანია) „ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტის“ (ერთობლივი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
2. სსიპ - აკაკის წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. შპს თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტის "ელექტრო და კომპიუტერული ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „კულტურის მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,ქიმიის" სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერზე აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,გარემოსდაცვითი ინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
7. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "სამოქალაქო ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

1. პირველი საკითხი: შპს კავკასიის უნივერსიტეტის და გამოყენებითი მეცნიერებების ტექნიკური უნივერსიტეტი ვილდაუის (გერმანია) „ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტის“ (ერთობლივი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	(ერთობლივი)
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№76905; 07.01.2022;
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	საინჟინრო ლოგისტიკის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0719 ინჟინერია და საინჟინრო საქმე – არაკლასიფიცირებული
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0102, ქ. თბილისი, პაატა სააკაძის ქ. №1; Germany, Technische Hochschule Wildau Hochschulring 1, 15745 Wildau
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

თვითაცილება განაცხადა- ლაშა ჩხარტიშვილმა და მარინე მაისურაძემ
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა, დავით სიხარულიძემ აღნიშნა, რომ შპს კავკასიის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ „ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 12/01/2022. ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვრა 12/01/2023.

ექსპერტის განმარტებით დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაციები. რეკომენდაციების შესრულების მიზნით დაწესებულებამ ჩაატარა შეხვედრები პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებთან. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ სკოლის ადმინისტრაცია, პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობით მოხდა მიღებული რეკომენდაციების განხილვა, გაანალიზება და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება. ამ პროცესში მონაწილე პირებმა/სამუშაო ჯგუფის წევრებმა განიხილეს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები, მოახდინეს ინფორმაციის იდენტიფიცირება-შეჯამება, რეკომენდაციების გათვალისწინების გზების დასახვა და აღსრულება, რეკომენდაციების შესაბამისად. რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით სამუშაო ჯგუფმა განახორციელა შემდეგი ღონისძიებები: ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამაში დაიხვეწა სწავლის შედეგები, პროგრამას დაემატა კვლევის მეთოდების და საინჟინრო მიმართულების სასწავლო კურსები, არჩევით ბლოკში დაემატა სასწავლო პრაქტიკის კომპონენტი. პროგრამას დაემატა ორი აფილირებული აკადემიური პერსონალი და ზოგიერთ სასწავლო კურსში განახლდა სავალდებულო ლიტერატურა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენლმა მადლობა გადაუხადა საბჭოს და ექსპერტს განხორციელებული სამუშაოსთვის და განაცხადა, რომ მათთვის ღირებული იყო საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები, რომელიც დაეხმარათ პროგრამის განვითარების პროცესში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 14:09
დასრულების დრო: 14:14

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს კავკასიის უნივერსიტეტის და გამოყენებითი მეცნიერებების ტექნიკური უნივერსიტეტი ვილდაუის (გერმანია) „ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტის“ (ერთობლივი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება : აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის მე - 2 პუნქტისა და პუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებული შპს კავკასიის უნივერსიტეტის და გამოყენებითი მეცნიერებების ტექნიკური უნივერსიტეტი ვილდაუის (გერმანია) „ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტის“ (ერთობლივი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

2. მეორე საკითხი : სსიპ - აკაკის წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება №311801; 25.03.2022
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0421 სამართალი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120

14	განხორციელების ადგილი	თამარ მეფის ქუჩა, N59, ქუთაისი, 4600, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა, გიორგი მახარობლიშვილმა აღნიშნა, რომ უსდ-ის მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში და მასზე თანდართული დოკუმენტების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა მოცემულობა, რომ რეკომენდაციები, ფაქტობრივად შესრულებულია.
რაც შეეხება მე-3 რეკომენდაციას, უსდ-ის მიერ წარმოდგენილი ანგარიშიდან ირკვევა, რომ პროფესიული პრაქტიკის ორგანიზებულად განხორციელების მიზნით, პრაქტიკის დაწყებამდე პროგრამისა და დეპარტამენტის ხელმძღვანელი ახდენს შეხვედრებს პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან პრაქტიკის კომპონენტის მაღალორგანიზებულ დონეზე ჩატარების მიზნით, რომლის დროსაც განისაზღვრება კონკრეტულ ობიექტზე პროფესიული პრაქტიკის განსახორციელებლად მივლენილი სტუდენტების რაოდენობაც. ამასთანავე მიმდინარეობს მოლაპარაკება დამსაქმებლებთან, რომ ახლად გაფორმებულ მემორანდუმებში აისახოს სტუდენტთა რაოდენობა, რომელთა მიღებაც შეუძლია კონკრეტულ ორგანიზაციას (დამსაქმებელს). შესაბამისად, უსდ-ს, მიუხედავად მრავლად წარმოდგენილი მემორანდუმებისა, რეკომენდაციის შესაბამისად პრაქტიკის ხანგრძლიობა და სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობა კვლავ არ აქვს განსაზღვრული მემორანდუმებში, რადგან მათი უმრავლესობა ჯერ კიდევ გასაახლებელია. თუმცა, დაწესებულებას ანგარიშში წარმოდგენილი აქვს ხედვა, თუ როგორ და რა ეტაპზე უნდა განისაზღვროს სტუდენტთა რაოდენობა მანამ, სანამ არსებული მემორანდუმები განახლდება. შესაბამისად, რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს რიგი მემორანდუმები, შესაბამისად პრაქტიკის განხორციელებასთან დაკავშირებით პრობლემები არ არსებობს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს და საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამაზე დაწესებულება ყოველ წელს იღებს 50 მაგისტრანტს, რომელთა 90%სპეციალობით არის დასაქმებული და სამსახური პრაქტიკაში ეთვლება, თუმცა სავალდებულოა რომ წარმოადგინონ პრაქტიკის ანგარიში და დახასიათება.
რაც შეეხება დამსაქმებელებთან მემორანდუმის გაფორმების საკითხს, დაწესებულება მუდმივად ცდილობს რომ ხელშეკრულებაში ჩაიწეროს სტუდენტთა კონკრეტული რაოდენობა, თუმცა რიგ შემთხვევებში აღნიშნული სირთულეებთან არის დაკავშირებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრი, გურანდა ჭელიძე დაინტერესდა დასაქმებული სტუდენტების შემთხვევაში პრაქტიკის ადგილზე თუ ვინ არის მენტორი, როგორ ხდება ამ კუთხით კომუნიკაცია მასთან და ზოგადად როგორ რეგულირდება მოცემული საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პირველ რიგში მაგისტრანტს მოეთხოვება ცნობა სამსახურიდან, რომ დაზუსტდეს იგი სპეციალობის მიმართულებით მუშაობს თუ არა, შემდგომ უნივერსიტეტის ბრძანების საფუძველზე გამოიყოფა ხელმძღვანელი და თავად პრაქტიკის ობიექტზე გამოიყოფა მენტორი, რაც შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 14:23
დასრულების დრო: 14:45

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აკაკის წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება : აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის მე - 2 პუნქტისა და პუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

3. მესამე საკითხი: შპს თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტის "ელექტრო და კომპიუტერული ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ელექტრო და კომპიუტერული ინჟინერია

2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2018 წლის 5 დეკემბერი გადაწყვეტილება No.193
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	კომპიუტერული ინჟინერიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0714 - ელექტრონიკა და ავტომატიზაცია (Electronics and Automation)
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	კახა ბენდუქიძის კამპუსი დავით აღმაშენებლის ხეივანი N. 240 თბილისი 0159 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა ნანი არაბულმა აღნიშნა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში (და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 13 სექტემბრის სხდომის N1172267 ოქმში (27.09.2022)) ასახული რეკომენდაციების შესწავლის მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც განიხილა ელექტრო და კომპიუტერული ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის მიმართ დადგენილი რეკომენდაციები. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა იყო შემდეგნაირი: თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის რექტორი, პრორექტორი პროგრამების განვითარების საკითხებში, პრორექტორი სასწავლო პროცესის მართვის საკითხებში, ელექტრო და კომპიუტერული ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი, ელექტრო და კომპიუტერული ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის კოორდინატორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი, სტუდენტების დეკანი და შესაბამისი ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ საკითხის შესწავლა განხორციელდა მხოლოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, დაწესებულებაში ვიზიტს არ განხორციელებულა. ამასთან, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შედეგად დადგინა, რომ განსაზღვრული 10 რეკომენდაციიდან 9 არის სრულიად შესრულებული, ხოლო მერვე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ყველა პროგრამის სასწავლო კურსები და შეფასების სისტემები შედგენილია თავად აკადემიური პერსონალის მიერ პროგრამის ხელმძღვანელთან კოლაბორაციით. აკადემიურ პერსონალს მიეწოდება მეთოდოლოგიური რჩევები საკუთარი შეფასების სისტემის რელევანტურობისთვის სწავლის შედეგების რეალისტური საზომის, შესაბამისი ცოდნის შემოწმების ფორმების შერჩევის მიზნით. ამდენად, უშუალოდ აკადემიური პერსონალი მონაწილეობს არა მხოლოდ სასწავლო პროცესში კურსების შეფასებაში, არამედ ჩართულია საგანმანათლებლო პროგრამის და კურიკულუმის განვითარებაშიც. ყველა პროგრამის, მათ შორის, ელექტრო და კომპიუტერული ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის შემუშავებასა და მის შემდგომ განვითარებაში აკადემიური პერსონალი და სტუდენტები ჩართულნი არიან როგორც პირდაპირი, ასევე, არაპირდაპირი გზით. კონკრეტულად ელექტრო და კომპიუტერული ინჟინერიის პროგრამის ფარგლებში, პროგრამისა და კურსების შეფასებისთვის არა მხოლოდ სტუდენტთა გამოკითხვების შედეგების შესწავლა მოხდა, არამედ ჩატარდა არაერთი ფოკუს-ჯგუფი და ჩაღრმავებული ინტერვიუ როგორც სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან, ისე აკადემიურ პერსონალთან. აკადემიურ პერსონალთან პროგრამისა და კურსების შეფასების მიზნით ინტენსიურად მიმდინარეობს შეხვედრები თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ნებისმიერ პროგრამაზე, რამდენადაც ეს წლების განმავლობაში უნივერსიტეტში კარგად დამკვიდრებული პრაქტიკაა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციების შესასრულებლად განსაზღვრული 60 დღე ემთხვეოდა სემესტრი პერიოდს, ხოლო კითხვარების გაგზავნა ხდება გამოცდეს დასრულების შემდგომ. მათი განმარტებით ანგარიშის წარმოდგენის პერიოდში გაგზავნილი იყო კითხვარი, დაწყებული იყო მათი დამუშავება, თუმცა იმ პერიოდისათვის არ იყო დასრულებული. მიუხედავად ამისა, დაწესებულებამ წარმოადგინა ცხრილი, სადაც ჩანს აქტიური პოზიტიური დინამიკა კითხვარების მაჩვენებელთან მიმართებით. დაწესებულება აქტიურად მუშაობს, რომ სტუდენტებმა გამოიჩინონ აქტიური ძალისხმევა მოცემულ პროცესებში ჩასართველად, შესაბამისად ამ კუთხით მუშაობა დაწყებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

საბჭოს წევრი, ქეთევან ქუთათელაძე მიესალმა საბჭოს წევრებს და სხდომაზე დამსწრე პირებს. მან მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს განემარტათ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოდგენილ ჩანაწერი, სადაც საუბარი იყო რომ „მომჩივანთა დიდი ნაწილი კურსდამთავრებულია და შესაბამისად რაიმეს შეფასების შესაძლებლობა არ აქვთ“.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კურსდამთავრებულებს არ ექნებოდათ საშუალება კონკრეტულად სასწავლო კურსის შეფასების შესაძლებლობა. კურსდამთავრებულებს ეგზავნებათ სხვა სახის კითხვარები, რომლებიც ეხებათ მათ კარიერულ განვითარებას, მათ მიერ მიღებული ცოდნის და უნარების შესაბამისობას შრომის ბაზართან და ა.შ. გაცემული რეკომენდაცია კი უკავშირდებოდა კონკრეტულად სასწავლო კურსებს, შესაბამისად მოცემული შემთხვევისთვის კურსდამთავრებულები არ წარმოადგენდნენ მიზნობრივ ჯგუფს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:54
დასრულების დრო: 14:59

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტის "ელექტრო და კომპიუტერული ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე 2 მუხლის 25 -ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა შპს თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტის "ელექტრო და კომპიუტერული ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „კულტურის მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კულტურის მენეჯმენტი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4		2021 წლის 02 თებერვალი, N53930

	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	მენეჯმენტის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მენეჯმენტი და ადმინისტრირება (0413)
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. ბათუმი, 6010, ვაჟა-ფშაველას ქ. №32
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

თვითაცილება განაცხადა- ერმილე მესხიამ
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა ეკა ლეკაშვილმა აღნიშნა, რომ სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამას ,,კულტურის მენეჯმენტი“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 02 თებერვლის სხდომის N 53930 გადაწყვეტილებით მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელში ანგარიშის

წარდგენითა და 2 წელში მონიტორინგის განხორციელებით. 2022 წლის აპრილში განხორციელდა გაცემული რეკომენდაციების შესრულებისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ წარდგენილი ანგარიშის შეფასება. ანგარიშის შეფასებისას დადგინდა, რომ რეკომენდაციების მნიშვნელოვანი ნაწილი შესრულდა, ნაწილი შესრულების პროცესში იყო და მცირე ნაწილის შესრულება იგეგმებოდა მონიტორინგის პერიოდისთვის. გათვალისწინებულ იქნა რჩევების მნიშვნელოვანი ნაწილიც.
სამუშაო ჯგუფი და გეგმა. კულტურის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამაში განახლდა სასწავლო კურსების სილაბუსები; განისაზღვრა დაშვების წინაპირობები; დაზუსტდა სასწავლო კურსების სახელწოდებები; დაიხვეწა სასწავლო კურსების სწავლებისა და სწავლის მეთოდიკა, შეფასების მეთოდები, სწავლის შედეგები; სასწავლო კურსის მიზნებისა და შედეგების გათვალისწინებით, შემუშავდა შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები.

მონიტორინგი ჩატარდა დისტანციურად ზუმის პლატფორმის გამოყენებით. წინასწარ იქნა დამუშავებული შესაფასებელი მასალა, განისაზღვრა შესაფასებელი კომპონენტები. კერძოდ, I სტანდარტი, II სტანდარტი, III სტანდარტის 3.1 კომპონენტი და IV სტანდარტის 4.1, 4.3 და 4.4. კომპონენტები. ინტერვიურების პროცესი წარიმართა განსაზღვრული განრიგის მიხედვით, უნივერსიტეტმა უზრუნველყო შეხვედრების ორგანიზება ისე, რომ მაქსიმალურად შესაძლებელი ყოფილიყო ინფორმაციის მიღება რესპონდენტებისგან. ვიზიტის პერიოდში ინსტიტუციისგან გამოთხოვილი იქნა საბაკალავრო ნაშრომები და ბიუჯეტი. ასევე, შემთხვევითი შერჩევის გზით, ბიბლიოთეკაში გადამოწმდა ლიტერატურა.

შეფასებული I სტანდარტი, II სტანდარტი, III სტანდარტის 3.1 კომპონენტი და IV სტანდარტის 4.1, 4.3 და 4.4. კომპონენტებიდან სრულ შესაბამისობაშია პირველი და მეორე სტანდარტი, ხოლო მეტწილ შესაბამისობაში - მესამე და მეოთხე სტანდარტები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. გასაახლებელია ლიტერატურა შემდეგ სასწავლო კურსებში: ბიზნესის ეთიკა, ბიზნეს გეგმის შედგენა და მართვა, მცირე ბიზნესის მართვის საფუძვლები, მენეჯმენტის საფუძვლები, ოპერაციათა მენეჯმენტის საფუძვლები, მარკეტინგის საფუძვლები, საერთაშორისო ბიზნესი, ადამიანური რესურსების მართვა, აკადემიური წერა, ინოვაციური მენეჯმენტი, ლოჯისტიკა, რისკების მართვა, სპეციალურ ღონისძიებათა მენეჯმენტი, საერთაშორისო ორგანიზაციები კულტურის სფეროში, საოფისე კომპიუტერული პროგრამები, კულტურის მენეჯმენტი, თეატრის მენეჯმენტი, მედია მენეჯმენტი, კულტურის მარკეტინგის საფუძვლები.
2. გასააქტიურებელია აკადემიური და მოწვეული პერსონალის გადამზადება, მათ შორის, სასწავლო მასალის მოდერნიზაციის მიზნით.
3. მიზანშეწონილია, გააქტიურდეს დაწესებულების მუშაობა ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების შესახებ სტუდენტთა არაინფორმირებულობის დასაძლევად.
4. რეკომენდირებულია, უსდ-მ სტუდენტებს ხელი შეუწყოს საერთაშორისო მობილობის პროგრამებში ჩართვაში.
5. გააქტიურდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის წახალისების მექანიზმები.
6. გაიზარდოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინფორმირებულობის დონე გამოკითხვის შედეგების გაცნობის მექანიზმთან დაკავშირებით.
7. რეკომენდებულია, უსდ-მ გააგრძელოს აქტიური მუშაობა საბიბლიოთეკო ფონდის განახლებაზე

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული სამუშაოსთვის და აღნიშნა, რომ ლიტერატურის განახლება არის მუდმივი პროცესი, ხოლო იმ სასწავლო კურსებში სადაც სრულად არ მოიპოვება ლიტერატურა უკვე მიმდინარეობს პედაგოგების მიერ რიდერების მომზადება და მათი განახლება, აღნიშნულ საკითხზე კვლავ გაგრძელდება მუშაობა. რაც შეეხება პერსონალის გადამზადების საკითხს, დაწესებულება აქტიურად მოახდენს აღნიშნული საკითხის განხორციელებას.
დაწესებულების წარმომადგენელმა ბაზებთან დაკავშირებთ აღნიშნა, რომ სემესტრის დასაწყისში ყველა სტუდენტს მიეწოდება ინფორმაცია ბაზებთან დაკავშირებით, ასევე ბიბლიოთეკის პერსონალის მიერ ხდება სხვადასხვა სახის საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება სტუდენტებისთვის, მაგრამ რეკომენდაციის გათვალისწინებით კიდევ უფრო გაძლიერდება ინფორმირებულობის საკითხი.
რაც შეეხება მობილობას, ეს არის გამოწვევა როგორც პროგრამის სევე უნივერისტეტისთვის. მოცემული საკითხი განსაზღვრული და გათვალისწინებულია ინტერნაციონალიზაციის გეგმაში და მიმდინარეობს აქტიური მუშაობა.
მე-5 რეკომენდაციასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტს აქვს წახალისების მექანიზმები, რომლებსაც აქტიურად იყენებს., მაგალითად ნაშრომების დაბეჭდვა, ლიტერატურის გამოცემა, საკონფერენციო ხარჯების ანაზღაურება. უნივერსიტეტში ასევე გამოიცემა სამეცნიერო კრებული.
დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ საუნივერსიტეტო ფონდის განახლება მუდმივად მიმდინარეობს. უნივერისტეტის ბიუჯეტიდან ხდება კონკრეტული თანხის გამოყოფა საბიბლიოთეკო რესურსის გასამდიდრებად დ ლიტერატურის გასაახლებლად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდომარე, გოდერძი ბუჩაშვილი დაინტერესდა თუ როგორ გეგმავს დაწესებულება მეექვსე რეკომენდაციის შესრულებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ გაძლიერდა ხარისხის განვითარების მიმართულება და უნივერისტეტმა აღნიშნულ საკითხზე აქტიურად დაიწყო მუშაობა. ამასთან ინფორმაცია შეტანილია ელექტრონულ ჟურნალებში, შესაბამისად წვდომა და ინფორმაციის მიწოდება გაძლიერდა და გაუმჯობესდა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15:14
დასრულების დრო: 15:27

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „კულტურის მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის პერიოდში ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული ხერვეზების გამოსასწორებლად 60 დღის ვადის განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 31-ე მუხლის 22-ე პუნქტის საფუძველზე სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „კულტურის მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დაევალოს 60 კალენდარული დღის ვადაში შეასრულოს რეკომენდაციები რომლებიც მოცემულია ოქმში.

რეკომენდაციები:

1. გასაახლებელია ლიტერატურა შემდეგ სასწავლო კურსებში: ბიზნესის ეთიკა, ბიზნეს გეგმის შედგენა და მართვა, მცირე ბიზნესის მართვის საფუძვლები, მენეჯმენტის საფუძვლები, ოპერაციათა მენეჯმენტის საფუძვლები, მარკეტინგის საფუძვლები, საერთაშორისო ბიზნესი, ადამიანური რესურსების მართვა, აკადემიური წერა, ინოვაციური მენეჯმენტი, ლოჯისტიკა, რისკების მართვა, სპეციალურ ღონისძიებათა მენეჯმენტი, საერთაშორისო ორგანიზაციები კულტურის სფეროში, საოფისე კომპიუტერული პროგრამები, კულტურის მენეჯმენტი, თეატრის მენეჯმენტი, მედია მენეჯმენტი, კულტურის მარკეტინგის საფუძვლები.
2. გასააქტიურებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის გადამზადება, მათ შორის, სასწავლო მასალის მოდერნიზაციის მიზნით.
3. მიზანშეწონილია, გააქტიურდეს დაწესებულების მუშაობა ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების შესახებ სტუდენტთა არაინფორმირებულობის დასაძლევად.
4. გაიზარდოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინფორმირებულობის დონე გამოკითხვის შედეგების გაცნობის მექანიზმთან დაკავშირებით.

რჩებები:

1. სასურველია, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს ინდივიდუალურად, ოფიციალური არხებით მიეწოდოს მათ მიერ უზრუნველყოფილი სასწავლო კურსების შესახებ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების შესახებ ინფორმაცია.
2. სასურველია, პროგრამის ფარგლებში მასალა ორიენტირებული იყოს შემოქმედებითი ინდუსტრიის ბიზნესის მაგალითების განხილვაზე.
3. სასწავლო კურსის ,,შესავალი სახვითი ხელოვნების ისტორიაში“ სილაბუსში დამატებითი ლიტერატურის რუბრიკაში მითითებული ალბომები წარმატებით შეიძლება ჩანაცვლდეს ვირტუალური ინფორმაციის მრავალი სახით - მათ შორის, ვირტუალური ტურებით მსოფლიოს წამყვან მუზეუმებში, ნებისმიერი ხელოვანის, ქვეყნის და ეპოქის ხელოვნების ამსახველი ვიდეო და ფოტომასალით, კომპიუტერული გრაფიკის საშულებით შესრულებული სამგანზომილებიანი მოდელებით, დაზიანებულ ძეგლთა რეკონსტრუქციებით და სხვ. ამდენად, უმჯობესია მიეთითოს რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოცემა ევროპულ ენებზე, რათა სტუდენტმა, უცხო ენის ცოდნის შესაბამისად, შეძლოს გაეცნოს მათ დამატებითი სასწავლო მასალის სახით.
4. სილაბუსებში (მაგ., შესავალი თეატრის ისტორიაში, საბიბლიოთეკო და საგამომცემლო საქმის მენეჯმენტი, კინოხელოვნების მენეჯმენტი, კულტურის მარკეტინგის საფუძვლები, შესავალი კინოს ისტორიაში, თეატრის მენეჯმენტი, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი და სხვ.) არ ჩანს კონკრეტულ ლექციაზე რა სასაწავლო მასალით სარგებლობენ სტუდენტები, რა მოცულობის ლიტერატურა ეძლევათ დასამუშავებლად. სასურველია, სილაბუსები დაკორექტირდეს ამ მხრივაც.
5. გააქტიურდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის წახალისების მექანიზმები.

6. სასურველია, უსდ-მ სტუდენტებს ხელი შეუწყოს საერთაშორისო მობილობის პროგრამებში ჩართვაში.

5. მეხუთე საკითხი : სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,ქიმიის" სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერზე აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

„ქიმიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა:

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქიმია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	8.06.2021 № 595607
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ქიმიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0531 - ქიმია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

„ქიმიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა:

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქიმია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4		08.07.2021 № 68697

	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VIII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ქიმიის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0531
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	50
14	განხორციელების ადგილი	
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება

- არა

საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება

- კი

თვითაცილება განაცხადა- ქეთევან ქუთათელაძემ
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ვიზიტი განხორციელდა 18 აპრილს. ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები განხორციელდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენელთან, რექტორის მოადგილესთან, სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, სტუ-ს სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელთან, სტუ-ს ფინანსური დეპარტამენტის უფროსთან და სტუ-ს ფაკულტეტის დეკანთან. საუბარი შეეხო პროგრამის

ზოგად კონტექსტს და სტუ-ს და ფაკულტეტის მონაწილეობას მისი მხარდასაჭერის პროცესებში. შემდეგ თვითშეფასების ჯგუფის წევრებმა ისაუბრეს პროგრამის სუსტ და ძლიერ მხარეებზე, ასევე თვითშეფასების ანგარიშის კონკრეტულ ასპექტებზე. ამის შემდეგ, პროგრამის ხელმძღვანელებთან განხილული იქნა კლასტერის პროგრამების დეტალები. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან დისკუსიის მთავარი თემა იყო მათი უკუკავშირი პროგრამის შესახებ, მათი არჩევანის მიზეზი და ფაქტობრივი სტატუსი. შემდეგ ექსპერტთა ჯგუფმა მოინახულა კლასტერისთვის ხელმისაწვდომი ობიექტები, მათ შორის სტუ-ს ცენტრალური ბიბლიოთეკა, ლაბორატორიები და აუდიტორიები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს წარმოდგენილი იქნა სტუ-ს პროგრამების ხარისხის შემოწმების პროცედურები და უკუკავშირის მექანიზმები, ხოლო დამსაქმებლებმა, რომლებიც დისტანციურად ჩაერთნენ, განიხილეს მათი მოლოდინები პროგრამისგან და კურსდამთავრებულებისგან.

კლასტერი, თავისი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებით, არსებითად შეესაბამება ქიმიის კლასტერისთვის მოსალოდნელ საგანმანათლებლო სტანდარტებს, მათ შორის ორგანიზებას, ხარისხის შეფასებას, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებსა და მათ შეფასებას. თუმცა, ზოგიერთი პრობლემა დაფიქსირდა და გაწერილია რეკომენდაციებში. ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა ლაბორატორიული ობიექტების არსებულ მდგომარეობაზე, რომლებიც ჩამორჩება მოსალოდნელ სტანდარტებს, როგორც სწავლების, ასევე უსაფრთხოების თვალსაზრისით.

ექსპერტის განმარტებით რეკომენდაციების შეჯამების შედეგად შეიძლება გამოიყოს ორი ძირითადი მიმართულება. პირველი ეს არის ერთგვარი აცდენა და შეუსაბამობა პროგრამის სწავლის შედეგებსა და მთლიანად პროგრამის კონტენტს შორის, ხოლო მეორე მტკიცებულებების ნაკლებობა, რაც გამოიხატება იმაში, რომ პროგრამის მიზნებსა და შედეგებში სრულად არ არის ასახული მიზნები. რაც შეეხება ქიმიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას, ქიმიური ნაწილაკების ქიმია და აგროქიმია აცდენილია პროგრამის კონტენტს.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ პრობლემურ საკითხს წარმოადგენს ლაბორატორიებიც, შესაბამისად, საჭიროა ლაბორატორიული აქტივობების ჩატარება სტუდენტთა პრაქტიკული უნარების გასაუმჯობესებლად. გარდა ამისა, ლაბორატორიები საჭიროებენ განახლებას, რადგან არის საკმაოდ მოძველებული. გამომდინარე აქედან ლაბორატორიებთან მიმართებით ჩნდება უსაფრთხოების საკითხიც.

ერთ მხრი კონტენტის შეუსაბამობა და მეორე მხრივ ლაბორატორიების საკითხი იყო ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებები, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა რეკომენდაციები.

ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ პროგრამებს მინიჭებული ჰქონდა პირობითი აკრედიტაცია და გაცემული იყო საკამოდ ბევრი რეკომენდაცია, რომელთაგან ნაწილი დაწესებულების მიერ იქნ გათვალისწინებული და შესრულებული. თუმცა ძირითადი საკითხები რაც განისაზღვრა რეკომენდაციების სახით კვლავ რჩება გამოსასწორებელი.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ აღნიშნა „ქიმიის“ სამაგისტრო პროგრამის დაშვების წინაპირობები და განმარტა, რომ პროგრამაზე სწავლა შეუძლია ბაკალავრის ან ბაკალავრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, თუმცა არ არის დაკონკრეტებული კონკრეტულად რა მიმართულების ბაკალავრის ხარისხის მქონე პირს შეუძლია სწავლის გაგრძელება. ექსპერტთა დასკვნაში, დაშვების წინაპირობების ნარატიულ ნაწილში პირდაპირ არის მითითებული, რომ არ ჩანს რომელი მიმართულების ბაკალავრს აქვს პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა. გამომდინარე აქედან, საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რატომ არის აღნიშნული საკითხი განსაზღვრული არა რეკომენდაციის არამედ, რჩევის სახით.
საბჭოს თავმჯდომარე, გოდერძი ბუჩაშვილი დაინტერესდა პირველი რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც თავისი შინაარსით გამოხატავს, რომ მიზნები და შედეგი არ შეესაბამება ერთმანეთს, შესაბამისად მოუწოდა ექსპერტებს საკითხის უფრო დეტალური განმარტებისკენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტმა განმარტა, რომ ჯგუფის მიერ სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში გაცემული იქნა რჩევა გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამის დაშვების წინაპირობა ითვალისწინებს მისაღებ გამოცდებს ქიმიაში. სადოქტორო პროგრამაში მოცემული საკითხი განისაზღვრა რეკომენდაციის სახით, ვინაიდან არ ითვალისწინებს მსგავს გამოცდას და არის კვლევის მიმართულება.
ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ პირველი რეკომენდაცია გაცემული იქნა წინა აკრედიტაციის შემთხვევაში, გამომდინარე იქიდან, რომ სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა ითვალისწინებს სამ კონცენტრაციას, ამიტომ მიზანი ის, რომ ღრმა და სისტემატური ცოდნის მიცემა შეუძლია პროგრამას სამივე კონცენტრაციის მიმართულებით არ არის რეალისტური. თუკი სტუდენტი აირჩევს არაორგანული ქიმიის კონცენტრაციას მისთვის რთული იქნება ღრმა და სისტემური ცოდნის მიღება ორგანულ ქიმიაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ სამი ლაბორატორია წარმოდგენილია უნივერისტეტის სამ ფაკულტეტზე და ზოგიერთი მათგანი არის საკმაოდ თანამედროვე, თუმცა ექსპერტებმაც ნახეს, რომ მოცემული პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს განახლებები ინფრასტრუქტურულ და აღჭურვილობის დონეზე. თუნდაც პირობითი აკრედიტაციის ფარგლებში შეუძლებელია ერთიანად და სრულად შეიცვალოს ყველაფერი.
რაც შეეხება დაშვების წინაპირობის საკითხს, მიუხედავად იმისა, რომ არგუმენტირებულ პოზიციაში დაწესებულებამ გამოხატა თავისი მოსაზრება, მსჯელობის შემდგომ განიხილება, რომ მნიშნელოვანია განსაკუთრებით სადოქტორო პროგრამის ფარგლებში წინაპირობების დაზუსტება.
სწავლების მიზნებსა და შედეგებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს 1.3 კომპონენტი სადაც საუბარია, რომ კლაისტერსსა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ერთმანეთთან არ არის თანამშრომლობაში და არ არის მორგებული შინაარსზე. მოცემულ შემთხვევაში უნდა აღინიშნოს, რომ ტექნიკურმა უნივერისტეტმა სრულიად შეცვალა ხარისხის სამსახურსა და დეპარტამენტებს შორის არსებული უკუკავშირის სისტემა, კერძოდ უკუკავშირის მიღება ხდება არა ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით, არამედ სულ მცირე ბაკალავრის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის პროგრამების მიხედვით. ყველა ცვლილება და შეფასება ხორციელებად როგორც კლასტერულ ასევე უნივერსიტეტის დონეზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ დასკვნის პირველივე გვერდზე უნდა შევიდეს კორექტირება ვინაიდან დაწესებულებას არ აქვს კვლევითი კომპონენტი კრედიტებად განსაზღვრული, შესაბამისად არის ხარვეზი და უნდა შეიცვალოს მითითებული 180 კრედიტი, სადაც ასახული უნდა იყოს 50 კრედიტი სასწავლო კომპონენტის. თუმცა ამ მიზეზით ბევრი მსგავსი შინაარსის რეკომენდაცია იქნა განსაზღვრული. დაწესებულებას აქვს შემდეგი მექანიზმი, მინიმუმამდე დაჰყავს სასწავლო კომპონენტი, თუმცა თითოეულ დოქტორანტს აქვს თავისი ინდივიდუალური კვლევის გეგმა, რომელსაც შეიმუშავებს თავის ხელმძღვანელთან. შესაბამისად, დაწესებულება ამ ნაწილში არ იზიარებს რეკომენდაციებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ყურადღება გაამახვილა 4.5 კომპონენტზე, სადაც საერთოდ არ არის რეკომენდაცია განსაზღვრული, თუმცა სტანდარტი მაინც შეფასებულია როგორც მეტწილად შესაბამისი. მსგავსი დეტალები რამდენჯერმე არის წარმოდგენილი და შესაბამისად, დაწესებულების წარმომადგენელი ვარაუდობს რომ სახეზეა ტექნიკური ხარვეზი.

ასევე, ისაუბრეს 2.3 კომპონენტის მიმართ გაცემულ რეკომენდაციაზე, რომელიც გულისხმობს ტრენინგების განხორციელებას აკადემიური პერსონალისთვის. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით აღნიშნულ ნაწილში, საუნივერსიტეტო პრაქტიკაა, რომ ყოველთვიურად ხორციელდება თანამედროვე სწავლის მეთოდების შესახებ ტრენინგები, როგორც ამ პროგრამის ისე საუნივერსიტეტო ფარგლებში. არც ერთი პედაგოგისთვის არ არის უცხო სწავლების ესა თუ ის მეთოდი, მათ შორის პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება.

პრობლემა არის ასევე მე-5 სტანდარტის შეფასებაში, კერძოდ გაცემულია რეკომენდაცია, რომ „შემდგომი განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უფრო კარგად მართოს პროცესები და დაეხმაროს აკადემიურ პერსონალს პროგრამების შემუშავებაში. თუმცა საჭიროა უფრო მეტი თანამშრომლობა მონაწილეებს შორის“. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის ყველა თანამშრომელი მაქსიმალურად არის ჩართული მიმდინარე პროცესებში, შესაბამისად განსაზღვრული რეკომენდაციის დროს მისი განხილვა ხდება საუნივერსიტეტო დონეზე.

რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე დააზუსტა, რომ უნივერსიტეტი მუდმივად ცდილობს განავითაროს პროგრამები და გაითვალისწინოს რეკომენდაციები. ამას ადასტურებს ფაკულტეტსა დს ხარისხის სამსახურს შორის უკუკავშირი და თანამშრომლობა.

რაც შეეხება მატერიალურ ტექნიკურ ბაზას, უნივერსიტეტი მუდმივად ცდილობს ლაბორატორიების განვითარებასა და აღჭურვას, თუმცა აღნიშნული რა თქმა უნდა დიდ ფინანასებთან არის დაკავშირებული.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ დასკვნაში დარღვეულია მიმართება აღწერილობით ნაწილსა და რეკომენდაციებს შორის. სწავლის შედეგებთან მიმართებით დასკვნაში მოცემულია, რომ მათი შესრულება არის არარეალისტური. აღნიშნულთან დაკავშრებით უნდა განიმარტოს, რომ სწავლის შედეგები პროგრამის შემადგენელი ნაწილია და მოიცავს იმ ცოდნასა და უნარებს რაც აუცილებელია პროგრამის მიზნების დასაკმაყოფილებლად. ამასთან, დასკვნაში მოცემულია, რომ პროგრამის მიზნები ითვალისწინებს ადგილობრივი დამსაქმებლების ძირითად მოთხოვნებსა და შეესაბამება საერთო ტენდენციებს, აკადემიური პერსონალი და დაინტერესებული მხარეები იზიარებენ პროგრამის მიზნებს. დაწესებულება სრულიად ეთანხმება აღნიშნულ ჩანაწერს. რაც შეეხება სწავლის შედეგებს, სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში ძირითადად აღწერილობით ნაწილში დადებითი კუთხით არის საუბარი და შეუსაბამობა არის გამოწვეული ისევ ლაბორატორიული ბაზის არასათანადო აღჭურვილობით. სწავლის შედეგები თავისთავად არის რეალისტური, ხოლო ლაბორატორიული ბაზის მოწესრიგება არის ფაკულტეტის მუდმივი ზრუნვის საგანი და შესაბამისად მუდმივად მიმდინარეობს მისი დახვეწა/განვითარება.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სწავლის შედეგებთან დაკავშირებით ასევე საუბარი იყო ,,მათემატიკური მოდელირების“ სასწავლო კურსზე, ვინაიდან ერთ-ერთი სწავლის

შედეგი სწორედ მოცემულ სასწავლო კურსთან არის დაკავშირებული. აღნიშნული არის კომპლექსური მიდგომის შედეგი. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით აღწერილობითი ნაწილი დასკვნაში იყო სრულიად გაუგებარი. სხვა მხრივ სწავლის შედეგების შესრულებასთან დაკავშირებით ასევე არის მცირე შეუსაბამობა, რასაც დაწესებულება არ ეთანხმება, რადგან აღწერილობით ნაწილში საუბარია სასწავლო კურსების შეფასებაზე და მოცემულია რომ ისინი სრულიად პასუხობენ მოთხოვნებს.

დასკვნაში ასევე აღნიშნული იყო პროფესორის დატვირთვის ნაწილში კონსულტაციების დამატება, კერძოდ მოცემულთან დაკავშრებით უნდა აღინიშნოს, რომ მოიკლო პროფესორის დატვირთვის საათებმა და დეტალურად განისაზღვრა პროფესორისა და ასისტენტის დატვირთვის საათები. პროფესორისა და ასოცირებული პროფესორის დატვირთვის შემთხვევაში ხელშეკრულებაში სავალდებულოდ ჩაიწერა ხელმძღვანელობა. ტექნიკურ უნივერსიტეტში იდგა პრობლემა როდესაც პროფესორის შეეძლო ხელმძღვანელობის საათებით შეევსო სრული დატვირთვა, აქედან გამომდინარე დატვირთვაში ასახულია თითოეული პროფესორის ვალდებულება, რომ გაწიოს ხელმძღვანელობა და კონსულტაციები და ამასთან გაწერილია სალექციო, ანუ საკონტაქტო საათები. გამომდინარე აქედან დაწესებულება ვერ დაეთანხმება მოცემულ რეკომენდაციას.

პროგრამის ხელმძღვანელმა ისაუბრა ასევე ლაბორატორიული სამუშაოების საათების დამატებაზე და აღნიშნა, რომ აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესაბამისად, რიგ სასწავლო კურსებს დაემატა ლაბორატორიული სამუშაოები, რომელიც მაგისტრანტებისთვის ნამდვილად იქნება ცალკეული კურსების ათვისებისთვის ერთ-ერთი პირობა. პრაქტიკულად, ლაბორატორიული სამუშაოები დაემატა სასწავლო კურსებში, რომელიც მოცემულია სამივე კონცენტრაციაში. აღნიშნული საგნებია ,,ექსპერიმენტული კვლევის მეთოდები", რომელიც არის საერთო საუნივერსიტეტო საგანი, აგრეთვე პროგრამული ქიმიის კონცენტრაციაში არის ახალი საგანი და მათ შორის ლაბორატორიული კომპონენტი. კურსებს კი პრაქტიკული მეცადინეობის მიმართულებით დაემატა ლაბორატორიული სამუშაოები. აღნიშნული ხელს უწყობს ლაბორატორიული უნარ-ჩვევების განვითარებასა და ჩამოყალიბებას.

რაც შეეხება საგნებს შორის გადაფარვას, სილაბუსების ავტორებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მიუხედავად გარეგნული ფორმალური მსგავსებისა, საკითხები მაინც ძირეულად განსახვავდება ერთმანეთისაგან, კერძოდ საკითხების მიდგომები და აქცენტები არის განსხვავებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ასევე სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებზე და აღნიშნა, რომ გარდა იმისა, რომ კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს უცხო ენაში დამადასტურებელი დოკუმენტი, აღნიშნული ითვალისწინებს გასაუბრებას დროებით კომისიასთან და რეფერატის წარმოდგენას მომავალი სამუშაოს ირგვლივ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, მამუკა ხუსკივაძემ აღნიშნა, რომ სადოქტორო პროგრამის მიმართ გაცემულია რეკომენდაცია, სადაც საუბარია, რომ სასურველია როგორც პროგრამის ხელმძღვანელის, ასევე დოქტორანტების ჩართვა საერთაშორისო ღონისძიებებში. თავად რეკომენდაციის ფორმულირება არის რჩევითი ხასიათის. აქედან გამომდინარე, საბჭოს წევრმა დააზუსტა მოცემული უნდა იყოს რჩევა თუ რეკომენდაცია.

ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეს იყო ტექნიკური ხარვეზი. როდესაც ექსპერტებმა კითხეს დაწესებულების წარმომადგენლებს რამდენად მონაწილეობდნენ საერთაშორისო ღონისძიებებში, მათ განაცხადეს, რომ ამ კუთხით იყო სიმცირე, შესაბამისად საკითხი განსაზღვრულია რეკომენდაციის სახით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დეტალურად იქნა გამოკვლეული ჩართულობის სიმცირის მიზეზი. ძირითად მიზეზად დადგინა დაფინანსების ნაკლებობა, თუმცა ამ მიმართულებით უნივერსიტეტმა აკადემიური პერსონალსა და დოქტორანტებს გამოუცხადა მაქსიმალური მხარდაჭერა. პრობლემა ასევე იყო გაცვლითი პროგრამების

რაოდენობის სიმცირე, რაზეც დაწესებულება აქტიურად მუშაობს. რაც შეეხება ენის ბარიერს, მოცემულ პროგრამის ფარგლებში 20-ზე მეტმა ადამიანმა გაიარა ინგლისური ენის გასაუმჯობესებელი კურსები. გამომდინარე აქედან პროგრამას ამ კუთხით არ აქვს პრობლემა. რეკომენდაციის არსებობა არ უნდა ყოს მხოლოდ 2-3 ადამიანის პასუხზე დამოკიდებული, მაშინ როცა დაწესებულება აქტიურად მუშაობს ამ მიმართულებით.
ექსპერტმა დაამატა, რომ მოცემულ შემთხვევაში არ იყო საუბარ მხოლოდ ინტერვიუებზე, მათ ასევე იხელმძღვანელეს რაოდენობრივი მაჩვენებლით, რაც მოცემული იყო შეფასების ანგარიშის დანართში. ამასთან, ერთ-ერთი რეკომენდაცია გულისხმობს საერთაშირისო მემორანდუმების და თანამშრომლობების მაქსიმალურად გამოყენებას კონკრეტულად მოცემული პროგრამებისთვის. რაც შეეხება კვლევითი კომპონენტის კრედიტებით შეფასების საკითხს, ერთ-ერთი დოკუმენტში რომელიც მოწოდებული იყო დაწესებულების მიერ ჩარჩენილი იყო 120 კრედიტი, შესაბამისად ხარვეზი არ გამომდინარეობს ექსპერტთა ჯგუფიდან. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ აკადემიურმა პერსონალმა ვერ დაადასტურა საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილოება. რაც შეეხება საათობრივ განაწილებას, ექსპერტებს ევალებათ შეაფასონ თუ რამდენად რელევანტურია მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ხელმძღვანელობის საათები. შესაბამისად, პერსონალის დატვირთვაში მოცემული საკითხები არ იყოს განსაზღვრული, ხოლო ხელშეკრულებაში განსაზღვრულია ზოგადი ჩანაწერი ხელმძღვანელობის ვალდებულებასთან დაკავშირებით.
საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა დააზუსტა თუ რამდენად ფიქსირდება ის, ფაქტი რომ დოქტორანტები ნამდვილად იღებენ კონსულტაციებს.
ექსპერტმა განმარტა, რომ მოცემულ საკითხთან მიმართებით ნამდვილად არ არსებობდა ხარვეზი, თუმცა ვერ იქნა გამოკვლეული რამდენად იყო დატვირთვა რელევანტური.
ექსპერტმა ჯგუფის წევრმა ასევე ისაუბრა მე-5 სტანდარტთან დაკავშირები და აღნიშნა, რომ ცენტრალური მიმართულებით არის სხვადასხვ რეგულაციები, პროცედურები, ამასთან ცენტრალური ხარისხის მართვის სამსახური ნამდვილად კარგად აკეთებ თავის საქმეს, თუმცა ფაკულტეტის დონეზე, პრობლემა არის ის, რომ აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან ყოველივე აღნიშნული პრაქტიკაში იქნას გამოყენებული. ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა სტანდარტის შეფასებაზე და მათი შეფასება დაეყრდნო სწორედ
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ფაკულტეტი და ცენტრალური ხარისხის სამსახური მუშაობს აბსოლუტურად ერთი და იმავე პრინციპით. ამასთან საკამოდ მაღალია პერსონალის ჩართულობის ხარისხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 16:40
დასრულების დრო: 17:00

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება. კერძოდ, 2.1 კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებას არ გამოუწვევია მეორე სტანდარტის შეფასების ცვლილება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ქიმიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 2027 წლის 01 ივლისამდე, 1 წელში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ქიმიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით 2027 წლის 01 ივლისამდე, 1 წელში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

1. საჭიროა ლაბორატორიული აქტივობების ჩატარება სტუდენტთა პრაქტიკული უნარების გასაუმჯობესებლად.
2. რეკომენდებულია, კლასტერსა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შორის უკუკავშირის მექანიზმი ეფუძნება ზოგად პროცედურას, რომელიც არ არის კონკრეტულად მორგებული კლასტერის შინაარსზე.
3. რეკომენდებულია, მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს ლაბორატორიისთვის დათმობილი საათები.
4. რეკომენდებულია, პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარების უზრუნველსაყოფად გადაიხედოს პროგრამის სტრუქტურა, რათა მოხდეს შესაბამისი დონის უნარ-ჩვევების კომპეტენციის მიღწევა.
5. რეკომენდებულია, დამსაქმებლებთან და პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მემორანდუმების განახლებისას მიეთითოს კლასტერის პროგრამები, სტუდენტების რაოდენობა, პრაქტიკის დაწესებულებაში განსახორციელებელი სასწავლო კურსები, ვადები.
6. რეკომენდებულია, დაიგეგმოს და განხორციელდეს აკადემიური პერსონალისათვის ტრენინგები სწავლების თანამედროვე მეთოდებთან და მათ სასწავლო კურსებში გამოყენებასთან დაკავშირებით.
7. რეკომენდებულია, ჩატარდეს კლასტერის პროგრამების საგანმანათლებლო და კვლევითი კომპონენტების შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების კომპლექსური ანალიზი და მიღებული შედეგების საფუძველზე დაემატოს გაუმჯობესების მექანიზმები.
8. კონსულტაციის საათები უნდა აისახოს აკადემიური/მოწვეული პერსონალის დატვირთვაზე.

9. შემდგომი განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უფრო კარგად მართოს პროცესები და დაეხმაროს აკადემიურ პერსონალს პროგრამების შემუშავებაში. თუმცა საჭიროა უფრო მეტი თანამშრომლობა მონაწილეებს შორის.
10. პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის მნიშვნელოვანია გარე შეფასების სისტემის კომპლექსური გამოყენება, მათ შორის, აკრედიტაცია-ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების, ასევე კოლეგების შეფასების გათვალისწინებით.
11. რეკომენდებულია, პროგრამის მიზნები უნდა გახდეს უფრო რეალისტური და მიღწევადი და შეესაბამებოდეს პროგრამის შინაარსს.
12. გაუმჯობესდეს სტუდენტებისთვის ლაბორატორიული საშუალებები და სწავლის შედეგების განსაზღვრისას გათვალისწინებული იქნეს ინფრასტრუქტურის რეალური შესაძლებლობები.
13. სწავლის შედეგები უნდა ჩამოყალიბდეს პროგრამის შინაარსის შესაბამისად.
14. რეკომენდებულია, გაიზარდოს ლაბორატორიული საათების რაოდენობა.
15. ზოგიერთ კურსში საკითხების გადაფარვა უნდა აღმოიფხვრას;
16. რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამაზე დაშვების წინაპირობა;
17. გამოსწორდეს შეუსაბამობა „პროფესორის ასისტენტობის“ სილაბუსსა და ამავე პროგრამის 1-ელი დანართით გათვალისწინებულ შეფასების ფორმებს შორის. ამასთან, დანართ 1-ში გათვალისწინებულ ლექცია-სემინარებზე დასწრებისთვის კრედიტების მინიჭება არ შეიძლება იყოს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდი.
18. გაუმჯობესდეს სტუ-ის მეორე შენობაში განთავსებული ლაბორატორიების მატერიალური და ტექნიკური რესურსები; დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გაუმჯობესების სტრატეგიული გეგმა, შესაბამისი ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის მითითებით.

რჩევები:

1. კლასტერის მიზნები უნდა გადამოწმდეს აკრედიტაციის მთელი პერიოდის განმავლობაში, რათა შესაძლებელი გახადოს დასაქმების ბაზრის ევოლუციის ადეკვატურობა.
2. უნდა შემცირდეს სწავლის შედეგების რაოდენობა, რათა ისინი უკეთ შეესაბამებოდეს სტუდენტებისთვის შეთავაზებულ რეალურ შესაძლებლობებს.
3. სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო და არჩევით კომპონენტებს შორის კურსები უკეთ უნდა იქნეს ორგანიზებული.
4. სასურველია განისაზღვროს იმ დარგების ჩამონათვალი, რომელთა კურსდამთავრებულებს საშუალება ექნებათ სწავლა გააგრძელონ „ქიმიის“ სამაგისტრო პროგრამაზე.
5. სასურველია, რომ პროგრამების განმახორციელებელმა პერსონალმა გამოიყენოს ის საერთაშორისო კავშირები, რაც რეალურად აქვს სტუ-ს.
6. დაიგეგმოს და განხორციელდეს საერთაშორისო სტუდენტური ღონისძიებების ჩართვისა და მობილურობის გაზრდის ღონისძიებები.
7. სასურველია, რომ პლაგიატის პროგრამაზე ნაშრომების შემოწმების პროცესი მიმდინარეობდეს სტუდენტებისა და ნაშრომის ხელმძღვანელების ჩართულობით.
8. სასურველია გაუმჯობესდეს უნივერსიტეტის ხელშემწყობი მექანიზმები სტუდენტების საერთაშორისო ღონისძიებებში ჩართვისთვის.
9. სასურველია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტების ტრენინგი სამეცნიერო ბაზებისა და კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებისათვის.
10. სასურველია მომდევნო წლებში ფაკულტეტის ბიუჯეტში დეტალურად იყოს ასახული სადოქტორო პროგრამის განვითარებისთვის დაგეგმილი აქტივობების (მათ შორის ლაბორატორიის განახლების) ფინანსური უზრუნველყოფის ხარჯები.

11. პარტნიორი კვლევითი ორგანიზაციები აღჭურვილია მაღალტექნოლოგიური, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი აღჭურვილობით, რომელთა გამოყენებაც სტუ-ს სტუდენტებს შეუძლიათ. თუმცა სასურველია უნივერსიტეტმა გააძლიეროს საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება. კერძოდ, 2.1 კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებას არ გამოუწვევია მეორე სტანდარტის შეფასების ცვლილება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ქიმიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 2027 წლის 01 ივლისამდე, 2 წელში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „$ბ^1$“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ქიმიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით 2027 წლის 01 ივლისამდე, 2 წელში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
რეკომენდაციები:

1. საჭიროა ლაბორატორიული აქტივობების ჩატარება სტუდენტთა პრაქტიკული უნარების გასაუმჯობესებლად.
2. რეკომენდებულია, კლასტერსა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შორის უკუკავშირის მექანიზმი ეფუძნება ზოგად პროცედურას, რომელიც არ არის კონკრეტულად მორგებული კლასტერის შინაარსზე.
3. რეკომენდებულია, მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს ლაბორატორიისთვის დათმობილი საათები.

4. რეკომენდებულია, პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარების უზრუნველსაყოფად გადაიხედოს პროგრამის სტრუქტურა, რათა მოხდეს შესაბამისი დონის უნარ-ჩვევების კომპეტენციის მიღწევა.
5. რეკომენდებულია, დამსაქმებლებთან და პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მემორანდუმების განახლებისას მიეთითოს კლასტერის პროგრამები, სტუდენტების რაოდენობა, პრაქტიკის დაწესებულებაში განსახორციელებელი სასწავლო კურსები, ვადები.
6. რეკომენდებულია, დაიგეგმოს და განხორციელდეს აკადემიური პერსონალისათვის ტრენინგები სწავლების თანამედროვე მეთოდებთან და მათ სასწავლო კურსებში გამოყენებასთან დაკავშირებით.
7. რეკომენდებულია, ჩატარდეს კლასტერის პროგრამების საგანმანათლებლო და კვლევითი კომპონენტების შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების კომპლექსური ანალიზი და მიღებული შედეგების საფუძველზე დაემატოს გაუმჯობესების მექანიზმები.
8. კონსულტაციის საათები უნდა აისახოს აკადემიური/მოწვეული პერსონალის დატვირთვაზე.
9. შემდგომი განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უფრო კარგად მართოს პროცესები და დაეხმაროს აკადემიურ პერსონალს პროგრამების შემუშავებაში. თუმცა საჭიროა უფრო მეტი თანამშრომლობა მონაწილეებს შორის.
10. პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის მნიშვნელოვანია გარე შეფასების სისტემის კომპლექსური გამოყენება, მათ შორის, აკრედიტაცია-ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების, ასევე კოლეგების შეფასების გათვალისწინებით.
11. პროგრამის მიზნები უნდა განისაზღვროს კვალიფიკაციის დონის შესაბამისად, იმ ძირითადი კომპეტენციების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფილი იქნება პროგრამის შინაარსით.
12. კურსები არ უწყობს ხელს სტუდენტის სწავლებას ბიოლოგიურ ინჟინერიაში. ეს სწავლის შედეგები არაა კავშირში პროგრამის შინაარსთან და უნდა წაიშალოს.
13. პროგრამის პერსონალმა უნდა აღმოფხვრას შეუსაბამობები პროგრამის სტრუქტურით გათვალისწინებულ კრედიტების რაოდენობასა და ასისტენტ პროფესორის სილაბუსს შორის.
14. სწავლის შედეგების მისაღწევად და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია განისაზღვროს იმ პროგრამების ჩამონათვალი, რომელთა კურსდამთავრებულებსაც შესაძლებლობა ექნებათ გააგრძელონ სწავლა სადოქტორო პროგრამაზე.
15. საჭიროა სტუ-ს II კორპუსში განთავსებული ლაბორატორიების მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გაუმჯობესება, რაც პროგრამისთვის უმნიშვნელოვანესია.
16. სასურველია როგორც სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის, ასევე დოქტორანტის ჩართვა საერთაშორისო ღონისძიებებში.
17. სასურველია მეტი ყურადღება მიექცეს პერსონალის გადამზადებას სწავლების თანამედროვე მიდგომასთან დაკავშირებით. ასევე უნდა გაუმჯობესდეს პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი/საშემსრულებლო-შემოქმედებითი საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობის მატერიალური რესურსები.
18. გაუმჯობესდეს სტუ-ის მეორე შენობაში განთავსებული ლაბორატორიების მატერიალური და ტექნიკური რესურსები; დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გაუმჯობესების სტრატეგიული გეგმა, შესაბამისი ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის მითითებით.
19. სწავლის შედეგები ჩამოყალიბებული უნდა იყოს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის - ქიმია (0531) - დეტალური სფეროსა და პროგრამის შინაარსის მიხედვით.

რჩევები:

1. კლასტერის მიზნები უნდა გადამოწმდეს აკრედიტაციის მთელი პერიოდის განმავლობაში, რათა შესაძლებელი გახადოს დასაქმების ბაზრის ევოლუციის ადეკვატურობა.
2. უნდა შემცირდეს სწავლის შედეგების რაოდენობა, რათა ისინი უკეთ შეესაბამებოდეს სტუდენტებისთვის შეთავაზებულ რეალურ შესაძლებლობებს.
3. სასურველია, რომ პროგრამების განმახორციელებელმა პერსონალმა გამოიყენოს ის საერთაშორისო კავშირები, რაც რეალურად აქვს სტუ-ს.
4. დაიგეგმოს და განხორციელდეს საერთაშორისო სტუდენტური ღონისძიებების ჩართვისა და მობილურობის გაზრდის ღონისძიებები.
5. სასურველია, რომ პლაგიატის პროგრამაზე ნაშრომების შემოწმების პროცესი მიმდინარეობდეს სტუდენტებისა და ნაშრომის ხელმძღვანელების ჩართულობით.
6. სასურველია გაუმჯობესდეს უნივერსიტეტის ხელშემწყობი მექანიზმები სტუდენტების საერთაშორისო ღონისძიებებში ჩართვისთვის.
7. სასურველია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტების ტრენინგი სამეცნიერო ბაზებისა და კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებისათვის.
8. სასურველია ქიმიის სადოქტორო პროგრამის გაძლიერება კადრებით, რომლებიც აკმაყოფილებენ საერთაშორისო სტანდარტებს.
9. სასურველია მომდევნო წლებში ფაკულტეტის ბიუჯეტში დეტალურად იყოს ასახული სადოქტორო პროგრამის განვითარებისთვის დაგეგმილი აქტივობების (მათ შორის ლაბორატორიის განახლების) ფინანსური უზრუნველყოფის ხარჯები.
10. პარტნიორი კვლევითი ორგანიზაციები აღჭურვილია მაღალტექნოლოგიური, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი აღჭურვილობით, რომელთა გამოყენებაც სტუ-ს სტუდენტებს შეუძლიათ. თუმცა სასურველია უნივერსიტეტმა გააძლიეროს საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.
11. სასურველია სადოქტორო პროგრამის 2023 წლის ბიუჯეტის წარდგენა, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი პროგრამაში დაგეგმილი კვლევისთვის განკუთვნილი თანხების ოდენობა.

6. მეექვსე საკითხი : სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,გარემოსდაცვითი ინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გარემოსდაცვითი ინჟინერია Environmental Engineering
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	პირობითი აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2021 წლის 22 ივნისი № 616040
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII

9	კვალიფიკაციის დასახელება	გარემოს ინჟინერიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	გარემოს დაცვის ტექნოლოგია, 0712
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას ქ., N 69, თბილისი, სასწავლო კორპუსი N 2, 0171, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება

- არა

საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება

- კი

თვითაცილება განაცხადა- მარინე მაისურაძემ და ქეთევან ქუთათელაძემ.

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 10 და 11 აპრილს, რომელიც წარიმართა მშვიდ, თანამშრომლობით გარემოში, ჩატარდა ინტერვიუები წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა წარმოდგენილი პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებული უნივერსიტეტში და უნივერსიტეტის გარეთ არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,გარემოსდაცვითი ინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მათ მიერ გაცემული ძირითადი რეკომენდაციები გამომდინარეობდა პროგრამის სტრუქტურიდან, რომელიც ეხებოდა სწავლის შედეგები, კურსებზე დაშვების წინაპირობები და ა.შ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებულირეკომენდაციები:

1. შეიცვალოს სწავლის შედეგების ფორმულირება კომპლექსური სწავლის შედეგების გამართული ტერმინოლოგიით, რომელიც სრულად იქნება შესაბამისობაში ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეშვიდე დონესთან.
2. შეიცვალოს სწავლის შედეგების ფორმულირება 0712 დარგობრივ სფეროზე ორიენტირებით, სადაც ნათლად გამოიკვეთება გარემოს დაცვის ტექნოლოგიის, როგორც საინჟინრო დარგის მიმართება დაბინძურებისა და ნარჩენების მინიმუმამდე შემცირების, დაბინძურების თავიდან აცილების პროცესების სწავლებაში.
3. გადაიხედოს და გაუმჯობესდეს პროგრამის გაცხადებული სწავლის შედეგების მიღწევა სასწავლო კურსებში გაცხადებული სწავლის შედეგების თანხვედრის უზრუნველყოფით.
4. რეკომენდებულია, რომ მოცემული პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისა და შეფასების მექანიზმისათვის დაწესებულებამ ეფექტურად გამოიყენოს მის მიერ გაცხადებული მიდგომები - ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმები, შრომის ბაზრის მოთხოვნები - პროფესიონალთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კონსულტაცია.
5. მოდერნიზდეს პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი, რომელიც დაეფუძნება განახლებულ პროგრამის სწავლის შედეგებს (რომელიც შესაბამისობაში იქნება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეშვიდე დონესთან) და დარგობრივი სფეროს შესაბამისი ანალოგი პროგრამების ანალიზს.
6. რეკომენდებულია, რომ სწავლების პირველ ეტაპზე პროგრამაში ჩაერთოს ისეთი სასწავლო კურსები, რომელიც განიხილავს და ასწავლის გარემოს დამაბინძურებლების წარმომადგენლებს, მათ თვისებებსა და ნორმირების საკითხებს.
7. რეკომენდებულია სასწავლო კურსებისათვის ატმოსფერული ჰაერის დაცვის ტექნოლოგია, ჰიდროსფეროს დაცვის ტექნოლოგია, საწარმოო პრაქტიკა შესაბამისი წინაპირობების დაწესება, მათ შორის პროგრამაში დამატებული სასწავლო კურსების სახით.
8. რეკომენდებულია, შემუშავდეს სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი, სადაც წარმოდგენილი იქნება სამაგისტრო ნაშრომით გათვალისწინებული სწავლის შედეგები, ნაშრომის შესრულებისა და წარდგენის ზუსტი ინსტრუქციები, მათ შორის ნაშრომის შინაარსის, ფორმატის, აკადემიური წერის სტილისა და ციტირების წესების შესახებ

9. რეკომენდებულია მე-3 დონის სასწავლო კურსების სწავლის შედეგებში აისახოს რთული ან არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის, ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის, შეფასებისა და დასკვნების ჩამოყალიბების უნარები.
10. სასწავლო კურსისათვის „გარემოსდაცვითი მენეჯმენტი“ გაუმჯობესდეს ძირითადი სასწავლო ლიტერატურა და დაემატოს თანამედროვე გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემების ISO 14001:2015 (2017) სწავლება.
11. რეკომენდებულია „ჰიდროსფეროს დაცვის ტექნოლოგიის“ სასწავლო კურსის გადამუშავება ლაბორატორიული და საკურსო სამუშაოების გაძლიერებისა და ლიტერატურული უზრუნველყოფის გზით.
12. პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით რეკომენდებულია პროგრამის სასწავლო კომპონენტების გაძლიერება, კერძოდ საუნივერსიტეტო სივრცეში ჩასატარებელი დარგობრივი პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოების გაძლიერება, მათ შორის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერების მხრივ.
13. რეკომენდებულია კურსი „საწარმოო პრაქტიკა გარემოსდაცვით ინჟინერიაში“ წარმოდგეს დარგობრივი პრაქტიკული უნარების განვითარების ფართო სპექტრით და მოიცავდეს პრაქტიკის მრავალფეროვან ბაზებს.
14. მაგისტრატურის პროგრამის სასწავლო კურსებისათვის ათვისებისათვის საჭირო პრერეკვიზიტული ცოდნიდან გამომდინარე განისაზღვროს ის სწავლის სფეროები, 7 რომელთა ბაკალავრები ან მასთან გათანაბრებული პირების მიღება უნდა იქნეს დაშვებული.
15. პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის გაძლიერება კვლევის მეთოდების/კვლევის დიზაინის კურსის დამატებით, რომელიც დაეხმარება სტუდენტებს ამ მიმართულებით უნარებისა და სწავლის შედეგების გაუმჯობესებაში.
16. სტუდენტების წახალისება და მოტივაცია, მონაწილეობა მიიღონ კონფერენციებში ან სხვა სამეცნიერო აქტივობებში, რათა გაიზარდოს მათი ინტერესი სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის მიმართ. ეს შეიძლება გაკეთდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებით და სტუდენტებისთვის საერთაშორისო კვლევით პროექტებში მონაწილეობის შესაძლებლობის მიცემით.
17. რეკომენდებულია განხორციელდეს გარემოს დაცვის ტექნოლოგიების მიმართულების დარგობრივი ლაბორატორიების მოწესრიგება და ტექნიკური განახლება სფეროს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.
18. რეკომენდებულია პროგრამის მიერ შეფასდეს დარგობრივი ლიტერატურის განახლების საჭიროებები და სასწავლო კურსების სახელმძღვანელოების შემუშავებისას ძირითად ლიტერატურად გამოყენებულ იქნას დარგობრივი სფეროს თანამედროვე ლიტერატურა, მათ შორის დარგობრივი ლიტერატურა საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ.
19. განხორციელდეს აკადემიური მოსწრების, სწავლის შედეგების შეფასების, დაინტერესებულ მხარეთა კმაყოფილების საკითხებისა და საუკეთესო ანალოგი პროგრამების სიღრმისეული და დეტალური კვლევა. კვლევის შედეგები კი აისახოს პროგრამის სხვადასხვა კომპონენტის (მიზნები, სწავლის შედეგები, კურიკულუმი, სასწავლო კურსები და სხვ.) დონეზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, დავით მახვილაძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ პროგრამას აქვს პირობითი აკრედიტაცია და განვლილი გარე შეფასების ფარგლებში მიღებული აქვს ძალიან კონკრეტული რეკომენდაციები. დაწესებულების წარმომადგენლებმა

მაქსიმალურად გაამახვილეს ყურადღება რეკომენდაციებზე და ერთადერთი რაც სრულად ვერ იქნა გათვალისწინებული ეს იყო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, რადგან აღნიშნული საკითხი საჭიროებს გარკვეულ ფინანსურ სახსრებს.
დაწესებულების წარმომადგენელმა, პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამას აქვს თავისი სწავლების მიზანი, რომელიც შეფასები შედეგად შეფასდა, როგორც „შესაბამისია მოთხოვნებთან“. აქედან გამომდინარე მათთვის ბუნდოვანია, თუ როგორ შეიძლება მიზანი იყოს სრულად შესაბამისობაში მოთხოვნებთან, შინაარსი კი აცდენაში.
დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა მე-5 სტანდარტთან დაკავშირებულ რეკომენდაციებზე და აღნიშნა, რომ ტექნიკურ უნივერსიტეტში და კერძოდ, ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტზე სისტემატურად მიმდინარეობს პერსონალის ტრენინგები და ინფორმირება ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესის შესახებ. პერიოდულად ტარდება და გაგრძელდება სწავლებები როგორც ხარისხის განვითარების, ასევე სწავლების თანამედროვე მეთოდების შესახებ. ამის თაობაზე, მათ შორის ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენლებთან საუბრისას, არაერთ მაგალითზე იქნა ყურადღება გამახვილებული. მათი განმარტებით, ვინაიდან ფაქტობრივი მდგომარეობა ნათლად ადასტურებს აღნიშნულს, მიაჩნიათ, რომ არ არსებობს ხსენებული შინაარსით რეკომენდაციის გაცემის საფუძველი.
შემდეგ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, „რეკომენდებულია, პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ შემუშავებული რეკომენდაციები და გარე შეფასების შედეგები სრულად იქნას გაზიარებული პროგრამის აკადემიური გუნდის მიერ“, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ თუ რომელიმე რეკომენდაცია ვერ შესრულდა და კვლავ რჩება პრობლემად, როგორიცაა მაგალითად მატერიალური რესურსის პრობლემა ან გარკვეული სახის ტექნიკურ ხარვეზები, მათთან მიმართებაში უნივერსიტეტი მუდმივად ცდილობს რეკომენდაციების გათვალისწინებასა და შესაბამისი ცვლილებების გატარებას, თუმცა მსგავსი ჩანაწერი დასკვნაში სხვა შინაარსის მატარებელია, რასაც დაწესებულების წარმომადგენლები არ ეთანხმებიან.
შემდეგ რეკომენდაციასთან მიმართებით, რომელიც გაცემული იყო 5.3 კომპონენტთან მიმართებით „განხორციელდეს აკადემიური მოსწრების, სწავლის შედეგების შეფასების, დაინტერესებულ მხარეთა კმაყოფილების საკითხებისა და საუკეთესო ანალოგი პროგრამების სიღრმისეული და დეტალური კვლევა. კვლევის შედეგები კი აისახოს პროგრამის სხვადასხვა კომპონენტის (მიზნები, სწავლის შედეგები, კურიკულუმი, სასწავლო კურსები და სხვ.) დონეზე“, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება ეფუძნება აკადემიური თავისუფლების პრინციპს და პროცესი წარიმართება აკადემიური სტრუქტურული ერთეულებიდან ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულების მიმართულებით. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურიდან გამომდინარე, მკაფიოდ არის განსაზღვრული პროგრამის თითოეული შემადგენელი განვითარებაზე პასუხისმგებელი სუბიექტი. ყველა ეტაპის სათანადო ხარისხით განხორციელების პროცესს, შინაარსობრივი და ფორმალური თვალსაზრისით, შესაბამის სხდომებზე უშუალო თანამონაწილეობით, კონსულტირებით, სამუშაო შეხვედრებით, ტრენინგებით, საქმისწარმოებისათვის დადგენილი წესით, აკონტროლებს და უზრუნველყოფს ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცედურები, მისი კომპლექსური შეფასების მექანიზმები და პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები განსაზღვრულია უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით.
დაწესებულებას არ აქვს გამოწვევებისა და ცვლილებების პრობლემა თუმცა ის რომ პროგრამა არ უნდა არსებობდეს დაწესებულება მსგავს მიდგომას არ იზიარებს. პირობითი აკრედიტაციის რეჟიმში მყოფ პროგრამას კვლავ პირობითი აკრედიტაცია ვერ მიენიჭება, ხოლო თუ დასკვნა ამ ფორმით არის წარმოდგენილი, პროგრამა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არსებობას წყვეტს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გაცემული რეკომენდაციების შესრულება საქმიანობის მთავარი ორიენტირია და დაწესებულების წარმომადგენლებს ძალისხმევა და რესურსები არ დაუზოგავთ, თუმცა დასკვნის დროს სხვა აქცენტები იქნა გაკეთებული. რაც შეეხება რეკომენდაციებს, დასკვნის პროექტში განხილულია პროგრამის სწავლის შედეგები და ნათქვამია, რომ „სწავლის შედეგებში არ არის გაცხადებული სწავლის შედეგები ცოდნა გაცნობიერების ნაწილში. პირველივე შედეგი ფორმულირებულია შემდეგნაირად: „შეარჩევს გარემოსდაცვითი ინჟინერიის მდგრადი განვითარების მიმართულებით ღრმა და სისტემური ცოდნის საფუძველზე, ახალი ორიგინალური იდეების შემუშავების გზით გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პრევენციულ ღონისძიებებს“ - სწორედ აქ არის შედეგები ცოდნა-გაცნობიერების ნაწილში და კომპლექსურად მოიცავს „ცოდნა-გაცნობიერებას“ და „უნარების“ კატეგორიებს. ამასთან ერთად, პრაქტიკულად ყველა სწავლის შედეგი მიმართულია რომ სტუდენტს ჰქონდეს უცნობ ან მულტიდისციპლინურ გარემოში რთული პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიების უნარი, ბუნებრივია ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის უნარი.

დასკვნაში ასევე აღნიშნულია, რომ სწავლის შედეგები არ ეთანადება 0712-გარემოს დაცვის ტექნოლოგიის დარგობრივი სფეროს განმარტებას: „შეისწავლის გარემოს დამაბინძურებელი ნივთიერებებისა და ნარჩენების მინიმუმამდე შემცირების, ასევე გარემოს დაბინძურების თავიდან აცილების პროცესებს. იგი მოიცავს ჰაერის, წყლის, ნიადაგის და ა.შ. კონტროლთან დაკავშირებულ პროგრამებს“. პრაქტიკულად პროგრამის ყველა სწავლის შედეგები არის ამ ფორმულირების შესაბამისი. 2-7 სწავლის შედეგები და მათთან აფილირებული სასწავლო კურსები სწორედ კომპლექსურად უზრუნველყოფს ამ მიზნის მიღწევას. ამავე დროს პროგრამის სწავლის შედეგებში არის მათემატიკური მოდელირების უნართან დაკავშირებული შედეგი. დაწესებულების წარმომადგენლი განმარტებით ეს იყო კომპლექსური საკითხი - გარემოს დაცვასა და მათემატიკურ აპარატზე დამყარებული შედეგი, რომელიც საშუალებას იძლევა ემპირიული გზის შემცირებით, მათემატიკური მოდელირებით შედგეს გარემოს დაბინძურების და ამ დაბინძურების გავრცელების არეალის დადგენა. მისი შემოტანა მნიშვნელოვნად აძლიერებს ჩვენი კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობას.

დასკვნაში მითითებულია, რომ „თუ გავამარტივებთ სწავლის პირველ შედეგს მივიღებთ ასეთ ძირითად აზრს: შეარჩევს გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პრევენციულ ღონისძიებებს. ზოგადად, პრევენციული ღონისძიებების შერჩევა ერთ-ერთი მიდგომაა და სრულად ვერ ფარავს ტექნოლოგიებს, რომელიც გამოიყენება გარემოს დაბინძურების თავიდან აცილებისათვის“. აღნიშნულის საპასუხოდ, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პრევენციული გარემოსდაცვითი ღონისძიებების შერჩევა ნიშნავს გარემოს დაბინძურების თავიდან აცილების მრავალი ღონისძიებიდან გააზრებული, ცოდნაზე დამყარებული არჩევანის საშუალებით მოცემულ პირობებში საუკეთესოს შერჩევას.

დასკვნაში გაწერილია, რომ „დარგობრივი სფეროს ამოცანებშია არა „სისუფთავის კონტროლი“, არამედ „დაბინძურების კონტროლი (მონიტორინგი)“. აქედან გამომდინარე დახარვეზებულ იქნა სწავლის შედეგი: „იყენებს გარემოს კომპონენტების სისუფთავის კონტროლისათვის და დაბინძურების შესამცირებლად თანამედროვე ტექნიკას“. მნიშვნელოვანია, რომ გათვალისწინებული იქნას ის ფაქტობრივი გარემოება, რომ სისუფთავე და დაბინძურება, როგორც შინაარსობრივად, ისე ტერმინების დონეზე, უკუპროპორციულ დამოკიდებულებაში არიან და ორივეს გამოყენება შეიძლება შესაბამისი დატვირთვით, სწორი ფორმულირების შერჩევით. თანაც იმავე სწავლის შედეგში დაბინძურების შემცირებაზეა საუბარი. ამიტომ, უნივერსიტეტის სურვილია გადაიხედოს არსებული ჩანაწერი, რომელშიც საპირისპირო ფორმულირებაზეა კრიტიკა, კერძოდ: „მიუხედავად ასეთი ჩანაწერისა და ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციისა, პროგრამაში კვლავ ვხვდებით აღნიშნულ ხარვეზს - იხ. სწავლის შედეგი 5. „გარემოს კომპონენტების სისუფთავის კონტროლისათვის“ ნაცვლად გამოიყენება „გარემოს კომპონენტების დაბინძურების კონტროლი“.

მე-4 სწავლის შედეგში გაწერილია- „აფასებს საწარმოო ობიექტების მდგომარეობის ხარისხობრივ და რაოდენობრივ მაჩვენებლებს გარემოს დაცვითი მოქმედი კანონების, ნორმების, წესებისა და სტანდარტების დაცვით“, ხარვეზადაა მიჩნეული: „ექსპერტთა ჯგუფმა გადახედა ანალოგ პროგრამებს, რომლებშიც „საწარმოო ობიექტების მდგომარეობის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლები“ საერთოდ არ გამოიყენება, ხოლო საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“ იხილავს არა საწარმოო ობიექტების, არამედ გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივ და რაოდენობრივ მაჩვენებლებსა და გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივ ნორმებს, რაც არსებითად განსხვავდება პროგრამის მიერ გამოყენებული ტერმინისგან“. აღსანიშნავია, რომ სწავლის შედეგი არაა კანონქვემდებარე აქტი, ბრძანებულება და ა.შ. მას არ მოეთხოვება ზუსტად გაიმეოროს თუნდაც ანალოგი პროგრამების დასახელება. პროგრამას აქვს ინდივიდუალობა, რაც დამყარებულია ჩვენს ხედვასა და რესურსებზე. შედეგი არათუ წინააღმდეგობაში არ მოდის პროგრამის მიზნებთან და საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან, პირიქით ზედმიწევნით შეესაბამება მათ.

დაწესებულების წარმომადგენელმა უცხოურ პროგრამებთან დადარების საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ აღნიშნული წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს კომპონენტს საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნებისათვის. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა, მისი სწავლის შედეგებით, სრულად პასუხობს უნივერსიტეტების გამოცდილებას, სწავლის შედეგების შინაარსობრივი ჩამოყალიბებისა თუ ფორმულირების სტილის თვალსაზრისით. მეტიც, უფრო აკონკრეტებს დარგისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას და მკაფიოდ გამოკვეთს იმ სიმძლავრეებს, რომელიც ლოგიკურად უნდა სდევდეს თან მაგისტრის დონის კვალიფიკაციას. აღნიშნულიდან გამომდინარე, აკადემიური თავისუფლების პატივისცემის, დარგის სპეციფიკის და პროგრამის წინა აკრედიტაციის გათვალისწინებით, ერთმნიშვნელოვნად მივიჩნევთ, რომ აკრედიტაციის პირველი სტანდარტის „1.2“ კომპონენტის ნაწილში, პროგრამა იმსახურებს სულ მცირე „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასებას.

რაც შეეხება უშუალოდ მე-4 რეკომენდაციის შინაარსზე უნივერსიტეტის მოსაზრებას, მიიჩნევენ, რომ პროგრამის კომპლექსური შეფასებისას, პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის განხორციელებისას და მნიშვნელოვან მონაცემთა სამიზნე ნიშნულებთან დადარებისას, პროცესში ჩართულია ყველა შესაძლო დაინტერესებულ სუბიექტთა ფართო წრე, კონკრეტული პერიოდის შესაძლებლობის მაქსიმუმით. ეს არის მოცემულობა, რომელიც აისახა არა მხოლოდ სააკრედიტაციო განაცხადში, არამედ დადასტურდა აგრეთვე ექსპერტთა ვიზიტისას. შესაბამისად, უნივერსიტეტი არ იზიარებს წარმოდგენილი ფორმულირების რეკომენდაციას, მაგრამ თუ ექსპერტთა ჯგუფს, ვიზიტისას დარჩათ გარკვეული მიმართულებით უკმარისობის განცდა, შესაძლებელია აღნიშნულის დასკვნის შინაარსში აღნიშვნა ან უკიდურეს შემთხვევაში სათანადო ფორმულირებით „რჩევის“ სტატუსით მითითება.

დაწესებულების წარმომადგენლები, ნაწილობრივ იზიარებენ მე-7 რეკომენდაციას, კერძოდ კონკრეტულ სასწავლო კურსებთან მიმართებაში წინაპირობების დაწესების ნაწილში. რაც შეეხება ამავე რეკომენდაციის მეორე ნაწილში აღნიშნულ „ახალი სასწავლო კურსების დამატებას“, დაწესებულება არ იზიარებს ამგვარი მითითებების მართებულობას აკრედიტაციის წარმოებისას. მეტიც, ისინი ყურადღებით ეცნობიან გარე შეფასებისას მიღებულ ყველა დოკუმენტს და დადგენილი კვალიფიციური პროცესითა და შემადგენლობით, შინაარსობრივად იხილავენ მათ. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა უნივერსიტეტის მზაობა, დასაბუთებული მითითების შემთხვევაში, განიხილოს პროგრამის შემდგომი განვითარების შესაძლებლობა. ამ ნაწილში, შინაარსობრივად იზიარებენ მე-8 რეკომენდაციას, თუმცა რა ფორმით, რა დასახელებით და რა შემადგენლით დაემატება აღნიშნული პროგრამას, შესაბამის გადაწყვეტილებას, აკადემიური დეპარტამენტი მიიღებს

პროგრამის ხელმძღვანელის, დაინტერესებული პირთა წრის, ფაკულტეტის საბჭოს, ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და ბოლოს, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თანამონაწილეობით.
რაც შეეხება მე-5 და მე-6 რეკომენდაციებს, რომელიც მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის, შინაარსის, „ახალი სწავლის შედეგების“, სასწავლო კურსების სწავლების თანმიმდევრობის, კვალიფიკაციის ჩარჩოს მე-7 დონესთან თავსებადობის საკითხებს, აგრეთვე, ანალოგი პროგრამების ანალიზის დეფიციტს, უნივერსიტეტის წარმომადგენლები არ იზიარებენ აღნიშნულს. პროგრამა, როგორც ფორმალური, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისით, სრულად შეესაბამება კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონეს; საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების და რეაკრედიტაციისათვის მზადების პროცესში განხორციელდა ამ დარგის სწავლების საუკეთესო გამოცდილებების ანალიზი და ნაწილი განხორციელებული სამუშაოებისა წარმოდგენილია აკრედიტაციის განაცხადში. მე-6 რეკომენდაციაში დაფიქსირებული სწავლების საკითხები გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამის კონკრეტულ სასწავლო კურსებში. მაგალითისათვის, შესაძლებელია იხილოთ სასწავლო კურსები, როგორიცაა „ნარჩენების მართვა“, „რადიაციული უსაფრთხოების ეკოლოგიური ასპექტები“, „ჰიდროსფეროს დაცვის ტექნოლოგია“ და „ატმოსფერული ჰაერის დაცვის ტექნოლოგია“ და ა.შ.. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, უნივერსიტეტი მიიჩნევს, რომ აკრედიტაციის პირველი სტანდარტის „1.4“ კომპონენტის ნაწილში, პროგრამა იმსახურებს სულ მცირე „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასებას.
1.5 კომპონენტის ფარგლებში წარმოდგენილი რეკომენდაციებიდან, დაწესებულება სრულიად იზიარებს მე-11 რეკომენდაციას და უკვე დაწყებულია შესაბამისი პროცედურები აკადემიურ დეპარტამენტში. მე-12 რეკომენდაცია, შინაარსობრივად გაიზიარეს ლაბორატორიული სამუშაოებისათვის არსებული საათების რაოდენობის გაზრდის ნაწილში. თუმცა, ვინაიდან სასწავლო კურსი ითვალისწინებდა ლაბორატორიულ სამუშაოს და მისი მოცულობის გაზრდა უნივერსიტეტის მიერ მიჩნეულ იქნა მიზანშეწონილად, ცალსახად მიიჩნევენ, რომ არ არსებობს „რეკომენდაციის სტატუსით“ დასკვნაში მითითების საფუძველი. მეტიც, უნივერსიტეტის გამოცდილებით, ამგვარი მითითებები ხშირად შემოიფარგლება მხოლოდ დასკვნის აღწერილობით ნაწილში და მათ „რჩევის“ სტატუსსაც კი არ ანიჭებს გარე შემფასებელი.
რაც შეეხება მე-8 რეკომენდაციასთან მიმართებით აღნიშნეს, რომ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დამტკიცებულია მაგისტრატურის დებულება, სადაც მოცემულია ნაშრომის გაფორმების ყველა ასპექტი: ნაშრომის შესრულებისა და წარდგენის ზუსტი ინსტრუქციები, აკადემიური წერის სტილისა და ციტირების წესების შესახებ. გარდა ამისა პროგრამის დანართში, რომელიც პროგრამასთან ერთად იქნა წარმოდგენილი და რომელიც წარმოადგენს სასწავლო კურსების კავშირს პროგრამის სწავლის შედეგებთან, მოცემულია სამაგისტრო ნაშრომის სწავლის შედეგებთან კავშირიც. გარდა აღნიშნულისა, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ჰ “ პუნქტი მკაფიოდ განმარტავს თუ რა არის სასწავლო კურსის პროგრამა - სილაბუსი და ემსახურება საგანმანათლებლო პროგრამის „სასწავლო კომპონენტის“ საუკეთესო შესაძლებლობით განხორციელებას. რაც შეეხება „კვლევითი კომპონენტის“ ნაწილს, უნივერსიტეტი აწესრიგებს აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული ზემოაღნიშნული სამართლებრივი აქტით - მაგისტრატურის შესახებ დებულებით.
დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ისინი ყოველთვის გამოხატავენ საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო კურსების განვითარების შესაძლებლობებზე დაუყოვნებლივი მზადყოფნის მზაობას. მათი განმარტებით, თითოეული სილაბუსის სწავლების მიზანი, შედეგები, თემატიკა და რესურსები, უზრუნველყოფენ საკვალიფიკაციო ჩარჩოში დადგენილი მაგისტრატურის საფეხურისათვის განსაზღვრული, განზოგადებული სწავლის შედეგების დონის მიღწევას გარემოს დაცვის ტექნოლოგიის მიმართულებაში.
რაც შეეხება დაშვების წინაპირობებს, პროგრამის წინაპირობაში ნათლად და ცალსახადაა მითითებული, რომ სწავლის სფეროების კლასიფიკატორის რომელი ფართო სფეროებიდანაა შესაძლებელი პროგრამაზე სწავლის გაგრძელება. პროგრამამ, დაშვების წინაპირობები

გაითვალისწინა განმახორციელებელი პერსონალისა და უნივერსიტეტის კომპეტენტური სტრუქტურული ერთეულების გადაწყვეტილებით, რომელიც ეყრდნობა კონკრეტულ ცოდნას და მრავალწლიან გამოცდილებას. საპირწონედ, წარმოდგენილი რეკომენდაციის პარალელურად, არ არსებობს მისი შემუშავების საფუძვლების შესახებ არგუმენტი ან ახსნა, თუ რატომ არის განსაზღვრული წინაპირობებიდან რომელიმე შეუსაბამო, ან პირიქით, რომელი სხვა მიმართულებაა მიზანშეწონილი, რომ იქნას დამატებული. მათი მოსაზრებით, ოთხივე ფართო სფერო სწორად არის მითითებული პროგრამაში, ხოლო, მეორე შემთხვევაში (იგულისხმება ფართოს სფეროდან დარგის დამატება) საკითხი შეიძლება დაისვას „მიზანშეწონილობითი“ ხასიათით, რაც საფუძველშივე გამორიცხავს „რეკომენდაციის სტატუსის“, ანუ სავალდებულოდ შესასრულებელი ჩანაწერის არსებობას.

მნიშვნელოვანია ასევე 2.2 კომპონენტი, კერძოდ დაწესებულებას პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი აქვს 6 პრაქტიკის ობიექტი. ასევე მიმდინარეობს მოლაპარაკებები გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან. შესაბამისად, სტუდენტთა რაოდენობიდან გამომდინარე აღნიშნულ საკითხთან დაკავშრებით პრობლემა არ არსებობს.

მე-4 სტანდარტთან მიმართებაში გაცემულ რეკომენდაციასთან მიმართებით|, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისინი სრულიად იზიარებს რეკომენდაციებს, კერძოდ მატერიალური ბაზის, მათ შორის ლაბორატორიული ბაზების მოწესრიგება წარმოდგენს უნივერსიტეტის პრიორიტეტულ მიმართულებას, რომელიც ლოგიკურად ვითარდება და ახლდება, ობიექტურად არსებული ფინანსური რესურსის გათვალისწინებით, აგრეთვე სამეცნიერო პროექტების განხორციელებით.

რეკომენდაცია, რომელიც გულისხმობს სილაბუსში მითითებული ლიტერატურის განახლება-გაძლიერებას, აღნიშნული წარმოადგენს უნივერსიტეტის ყოველდღიურ საზრუნავს და მოცემული პროგრამა, შესაძლებლობის მაღალი ხარისხით არის უზრუნველყოფილი როგორც რესურსებით, ისე რესურსების განვითარებაზე ზრუნვით. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, თავად განსაზღვრავს, თუ რა წყაროებზე დაყრდნობით, რა მოცულობით და შინაარსით შექმნას სახელმძღვანელო, რომელიც აკმაყოფილებს მის აკადემიურ სტანდარტს. იმისთვის რომ პირის შემოქმედებას მიენიჭოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში „სახელმძღვანელოს“ სტატუსი და ამ ფორმით გათვალისწინებულ იქნას სასწავლო პროცესში, არაერთი ხარისხის ჩამკეტი მექანიზმი მოქმედებს დაწესებულებაში, კოლეგიური წესით განხილვის მრავალშრიანი ეტაპებით, რაც სრულდება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სარედაქციო საბჭოს გადაწყვეტილებით.

დაწესებულებას არ აქვს იმის ამბიცია, რომ პროგრამა არის ხარვეზების გარეშე, თუმცა უნივერსიტეტი ასწავლის იმის ფარგლებში რაც საკმარისად მიაჩნია და აქვს შესაბამისი შესაძლებლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტმა განმარტა, რომ პროგრამის მიზნები შეფასებულია როგორც შესაბამისობაში მოთხოვნებთან, სწორედ იმ მოთხოვნებიდან გამომდინარე, რომლის მიხედვითაც უნდა შეფასდეს თავად პროგრამის მიზნები. თუმცა ექსპერტებს ასევე აქვთ აღნიშნული, რომ პროგრამის მიზნები კარგად არის ჩამოყალიბებული. სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტი, სადაც ცალსახად ჩანს სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებებში დაფიქსირებული გადახრები, სამწუხაროდ არ აძლევთ საშუალებას სიღრმისეულ კვლევის ჩატარების შესაძლებლობას გამომწვევი პრობლემებისა. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა სტუდენტებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რა დროსაც სტუდენტებმა გამოკვეთეს მაგ., მათემატიკის სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემები, რომელიც გავლენას ახდენს სხვა სასწავლო კურსების შესწავლის პროცესზე. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწესებულებამ საჭიროა გააღრმაოს კვლევები აღნიშნული მიმართულებით, მათ შორის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. რაც შეეხება ანალოგ პროგრამებთან შედარებას, წარმოდგენილ პროგრამაში არ ჩანს ანალოგი პროგრამების შესწავლის შემდგომ

საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მტკიცებულება. ანალოგი პროგრამები ინჟინერიის მიმართულებით ძლიერია, ხოლო პროგრამაში ნაკლებადაა ეს მხარე წარმოდგენილი, რაც ინტერვიუების დროსაც მრავალგზის აღინიშნა ექსპერტების მიერ.
ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ დასკვნის პროექტში სრულადაა წარმოდგენილი #1, #2 და #3 რეკომენდაციების შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებებისა და მდგომარეობის აღწერა და ანალიზი, რაც მოცემული რეკომენდაციების გაცემის სრულ სურათს იძლევა. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციებს ტოვებს უცვლელი სახით. წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგები ნაწილობრივ პასუხობს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეშვიდე დონის მოთხოვნებს. სწავლის შედეგებში არ არის გაცხადებული სწავლის შედეგები ცოდნა გაცნობიერების ნაწილში, ასევე სწავლის შედეგები ვერ ასახავს ისეთ მნიშვნელოვან უნარებს, როგორიცაა უცნობ ან მულტიდისციპლინურ გარემოში რთული პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება ან/და კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება, აკადემიური კეთილსინდისირების პრინციპების დაცვით, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, რთული ან არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზი, ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი, შეფასება და დასკვნების ჩამოყალიბება, რომლებშიც აისახება სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობები. პროგრამით გაცხადებული სწავლის შედეგები ნაწილობრივ იძლევა კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმებისა და განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობებს.
ამასთან, სწავლის შედეგები წარმოდგენილია ისეთი ფორმულირებებით და ტერმინებით, რომლებიც ნაკლებად ესადაგება გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების სფეროში მიღებულ ტერმინებს. პროგრამის მენეჯმენტმა უნდა გადახედოს სწავლის შედეგების ფორმულირებას, გამოიყენოს დარგობრივი სფეროს შესაბამისი კომპლექსური სწავლის შედეგები და შეუსაბამოს ის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეშვიდე დონეს. მიუხედავად ასეთი ჩანაწერისა და ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციისა, პროგრამაში კვლავ ვხვდებით აღნიშნულ ხარვეზს - იხ. სწავლის შედეგი 5. „გარემოს კომპონენტების სისუფთავის კონტროლისათვის“ ნაცვლად გამოიყენება „გარემოს კომპონენტების დაბინძურების კონტროლი“. ამასთან, ასევე ხარვეზია სწავლის შედეგი 4-ის წარმოდგენისას. ექსპერტთა ჯგუფმა გადახედა ანალოგ პროგრამებს, რომლებშიც „საწარმოო ობიექტების მდგომარეობის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლები“ საერთოდ არ გამოიყენება, ხოლო საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“ იხილავს არა საწარმოო ობიექტების, არამედ გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივ და რაოდენობრივ მაჩვენებლებსა და გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივ ნორმებს, რაც არსებითად განსხვავდება პროგრამის მიერ გამოყენებული ტერმინისგან.
რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომის გზამკვლევს და სილაბუსს, პროგრამის შემადგენელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია სამეცნიერო კომპონენტი - სამაგისტრო ნაშრომი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის საბოლოო სწავლის შედეგების მიღწევას და შეფასებას. სამწუხაროდ, პროგრამის პაკეტს არ ახლდა სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი. ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა სილაბუსი, თუმცა დაწესებულების მიერ სილაბუსი არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, აღნიშნულიდან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა შემდეგი რეკომენდაცია: „რეკომენდებულია, შემუშავდეს სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი, სადაც წარმოდგენილი იქნება სამაგისტრო ნაშრომით გათვალისწინებული სწავლის შედეგები, ნაშრომის შესრულებისა და წარდგენის ზუსტი ინსტრუქციები, მათ შორის ნაშრომის შინაარსის, ფორმატის, აკადემიური წერის სტილისა და ციტირების წესების შესახებ“.
ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ საწარმოო პრაქტიკა და სამაგისტრო ნაშრომი უნდა წარმოადგენდეს საკვანძო კურსებს/კვლევით კომპონენტს გარემოს დაცვის ტექნოლოგიების დარგობრივი მიმართულების პროგრამისათვის, და ამ კურსებში მიერ გაცხადებული სწავლის შედეგები უნდა იყოს დარგობრივი სფეროს მე-7 დონის შესაბამის ცოდნაზე და უნარებზე ორიენტირებული. ამ კურსებს პროგრამის სწავლის შედეგების რუკაში მათ აქვთ მინიჭებული მე-3 დონე, თუმცა მათი სწავლის შედეგები ნაკლებად ასახავს რთული ან არასრული

ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის, ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის, შეფასებისა და დასკვნების ჩამოყალიბების უნარებს“. სასწავლო პრაქტიკა სხვადასხვა კურსებში არის ინტეგრირებული და გამოიყენება 6 ბაზა, თუმცა საწარმოო პრაქტიკა რომელიც არის პროგრამაში შინაარსი არის გადასახედი. დაწესებულებამ აუცილებლად უნდა გადახედოს და შეასრულოს რეკომენდაციები. მნიშვნელოვანი პროგრამას მიეცეს შანსი განვითარების, თუმცა აღნიშნული უნდა მოხდეს რეკომენდაციების გათვალისწინებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების საფუძვლები არის სასწავლო კურსები, ხოლო თუ არ არის წარმოდგენილი კონკრეტული კურსის სწავლის შედეგები მაშინ საიდან გამომდინარეობს პროგრამის სწავლის შედეგები. ამასთან, პროგრამის სწავლის შედეგები გამომდინარეობს სასწავლო კურსებიდან და იმ კომპონენტებიდან რაც პროგრამას აქვს. საბჭოს თავმჯდომარემ ასევე დააზუსტა თუ რა ცვლილებები განხორციელდა პროგრამაში წინა აკრედიტაციის ვიზიტის შემდგომ.

საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ აღნიშნა, რომ დასკვნაში 1.5 კომპონენტის აღწერილობით ნაწილში მოცემულია, რომ ექსპერტთა ჯგუფი მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს სამაგისტრო ნაშრომის სწავლის შედეგები, სწავლების მეთოდები, შესრულების გზები და მოთხოვნები. თუმცა, 2020-2022 წლებში დაცული სამაგისტრო ნაშრომების გადახედვით ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის, რომ სამაგისტრო ნაშრომების ხარისხი გაუმჯობესებულია. აქვე 3.2 სტანდარტის აღწერილობით ნაწილში მოცემულია, რომ ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ბოლო ორ წელში შესრულებულ რამდენიმე სამაგისტრო ნაშრომს, რის საფუძველზეც გამოიკვეთა, რომ სამაგისტრო ნაშრომები მეტწილად ფოკუსირებულია ლიტერატურის მიმოხილვასა და კვლევის შედეგებზე. ნაშრომი არ ჩანს კვლევის მიზანი, ჰიპოთეზა, კვლევის ამოცანები და მეთოდები. ორი სტანდარტის აღწერილობით ნარატივში წარმოდგენილია რადიკალურად განსხვავებული სურათი, შესაბამისად საბჭოს წევრმა მოუწოდა ექსპერტებს დაეზუსტებინათ თუ რომელი შეფასება არის სწორი.

ამასთან, საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა მე-16 რეკომენდაცია, სადაც საუბარია სტუდენტების წახალისებაზე, ამასთან მოცემულია იგივე შინაარსის რჩევაც რომელსაც შემდგომ მოყვება რეკომენდაცია პროგრამის ინტერნაციონალიზაციასთან ასპექტის გაძლიერებასთან დაკავშირებით. აქაც მსგავსი პრობლემა იკვეთება, სხვაობა ჩანაწერებს შორის და ექსპერტთა ჯგუფს მოუწოდა დაეზუსტებინათ აღნიშნული ჩანაწერი არის რჩევებში თუ რეკომენდაციებში.

რაც შეეხება დაწესებულებასთან კითხვას, ექსპერტთა დასკვნაში ყურადღება გამახვილებულია სტუდენტთა სამეცნიერო კვლევითი მიმართულებით, ასევე სხვადასხვა პროექტებში სტუდენტთა ჩართულობასთან დაკავშირებით, თუმცა საინტერესოა ამ მიმართულებით როგორ ავითარებს დაწესებულება სამეცნიერო კვლევი პროექტებში ჩართულობას, ასევე საგრანტო პროექტების მოპოვების საკითხებს. ამასთან საბჭოს წევრმა დააზუსტა ხომ არ უფიქრია პროგრამის ხელმძღვანელს, რომ ერთი არჩევითი სასწავლო კურსი ეხებოდეს საერთაშორისო პრაქტიკას და საერთაშორისო მნიშვნელობის საკითხების შესწავლის თაობაზე.

საბჭოს წევრმა, ერმილე მესხიამ დააზუსტა თუ რამდენად არის სასწავლო კურსების თემატიკა და პროგრამის შინაარსი ერთმანეთთან კავშირში. ამასთან, საბჭოს წევრმა აღნიშნა გარემოს დაცვის მენეჯმენტის სასწავლო კურსი და განმარტა, რომ ამ სასწავლო კურსის თემატიკა და ერთადერთი სასწავლო კურსი რომელიც მოცემულია სილაბუსში სრულიად აცდენილია ერთმანეთს.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე დააზუსტა თუ რამდენი სტუდენტი ირიცხება პროგრამაზე და რატომ არ არის მოთხოვნა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სამაგისტრო ნაშრომის სილაბური არ არის წარმოდგენილი, ვინაიდან შესაბამისი სწავლის შედეგები არ არის აღწერილი. ამასთან, სწავლის შედეგები ორიენტირებულია სამაგისტრო ნაშრომზე, თუმცა სტუდენტებისთვის არ არის დოკუმენტი სადაც მოცემულია სპეციფიკური მიდგომები და ის თუ რა ევალება სტუდენტს. პროგრამის კურიკულუმის რუკაში, კი მოცემულია სწავლის შედეგები. აღნიშნული რეკომენდაცია ასევე განსაზღვრული იქნა წინა აკრედიტაციის ვიზიტის დროს. სამაგისტრო ნაშრომი აჯამებს და ადასტურებს სწავლის შედეგებს.
ექსპერტმა განმარტა, რომ სწავლის შედეგები გარკვეულწილად გადახალისებულია, თუმცა კვლავ არის გამოწვევები. ექპერტებმა დეტალურად გაიარა წინა აკრედიტაციის რეკომენდაციები და მათი შესრულების საკითხი. მაგალითად სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით, გარე ექსპერტთან დაკავშირებით, საწარმოო პრაქტიკასთან და მატერიალურ ბაზასთან დაკავშირებით, გარკვეული საკითხები შეცვლილა. დაწესებულებას გამოყენებული აქვს ანალოგი პროგრამების მაგალითები, თუმცა აუცილებელია მოცემული საკითხების ლოგიკურ ბმაში წარმოდგენა და კვლავ დახვეწა და მათზე მუშაობა.
ექსპერტმა განმარტა, რომ სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს სამაგისტრო ნაშრომის სწავლის შედეგები, სწავლების მეთოდები, შესრულების გზები და მოთხოვნები. სწორდ იქიდან გამომდინარე რომ წინა რეკომენდაციებში მოცემული იყო სამაგისტრო ნაშრომის ხარისხის გაუმჯობესება, ამ მიზნით მოხდა 2020-2022 წლის ნაშრომების გადახედვა. შესაბამისად გადახედვის შედეგად დადგინდა, რომ ახალი სამაგისტრო ნაშრომები ძველებთან დაკავშრებით იყო უკეთესი ხარისხის. გამომდინარე აქედან, დასკვნაში არ არის რამე წინააღმდეგობები.
რაც შეეხება სტუდენტების წახალისების საკითხს, აღნიშნული განსაზღვრულია რეკომენდაციის სახით, შესაბამისად ამოსაღებია რჩევების ნაწილიდან. ინტერვიუების შედეგად ასევე დადგინდა, რომ ძალიან მწირი იყო სტუდენტების მონაწილეობა სხვადასხვა პროექტებსა თუ გაცვლით პროგრამებში.
ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებას გასაუმჯობესებელი აქვს მატერიალური რესურსები. მაგალითად ერთ-ერთ საგანში 9 ლაბორატორიული სამუშაოსთვის გამოყოფილია მხოლოდ 9 საათი, რაც გამომდინარეობს იქიდან, რომ ბაზა არის გასაუმჯობესებელი. გარდა ამისა, ლაბორატორია წარმოდგენილია სამეცნიერო კვლევის შესავლის სამართლის კურსში, სადაც მიმდინარეობს ლაბორატორიული სამუშაო კომპიუტერულ კლასში. სხვა სასწავლო კურსებში მხოლოდ პრაქტიკული სამუშაოებია წარმოდგენილი, ზოგ მათგანში კი პრაქტიკა არის ინტეგრირებული.
ექსპერტმა განმარტა, რომ გარემოს დაცვის მენეჯმენტთან დაკავშირებით ექპერტებს განსაზღვრული ჰქონდათ რეკომენდაცია, რომელსაც დაწესებულება დაეთანხმა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ბოლო მონაცემების მიხედვით პროგრამის მაგისტრი გახდა მწვანე სტიპენდიის მფლობელი. ამას გარდა, პროგრამის ყოფილი მაგისტრანტი და დღეს უკვე დოქტორანტი გახდა სადოქტორო სტიპენდიის გამარჯვებული, საერთაშორისო კონფერენციების მონაწილე. ამასთან, როგორც პროგრამის ხელმძღვანელების ასევე სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა კონფერენციებში.
უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თუ საუბარი პროგრამის განვითარებაზე, მაშინ პროგრამამ უნდა იარსებობს. თუ რომელიმე საკითხი დასარეგულირებელია დაწესებულება სიამოვნებით მიიღებ მითითებებს. წინა აკრედიტაციის ფარგლებში პროგრამა იმსახურებდა პირობით აკრედიტაციას ამას ეთანხმებოდნენ ასევე ექპერტებიც, პროგრამა მას შემდეგ დაიხვეწა თუმცა კვლავ რჩება გასაუმჯობესებელი საკითხები. დაწესებულების წარმომადგენლები მუდმივად მზად არის ზედმიწევნით შეასრულოს საბჭოს რეკომენდაციები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამაზე სწავლობს 7 სტუდენტი, 5 პირველ კურსელი და ორი მეორე კურსელი. ამასთან, დაწესებულება აქტიურად მიშრობს მარკეტინგული კუთხით პროგრამის განვითარებასა და ინფორმაციის გავრცელებაზე, ამ კუთხით სისტემა ნამდვილად აწყობის სტადიაზეა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 18:51
დასრულების დრო: 19:35

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება. კერძოდ, 1.2 და 1.5 კომპონენტები ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, რის შედეგადაც პირველი სტანდარტის შეფასება ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,გარემოსდაცვითი ინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 2026 წლის 31 დეკემბრამდე, 2 წელში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „$ბ^1$“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,გარემოსდაცვითი ინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით 2026 წლის 31 დეკემბრამდე, 2 წელში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

1. შეიცვალოს სწავლის შედეგების ფორმულირება კომპლექსური სწავლის შედეგების გამართული ტერმინოლოგიით, რომელიც სრულად იქნება შესაბამისობაში ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეშვიდე დონესთან;

2. შეიცვალოს სწავლის შედეგების ფორმულირება 0712 დარგობრივ სფეროზე ორიენტირებით, სადაც ნათლად გამოიკვეთება გარემოს დაცვის ტექნოლოგიის, როგორც საინჟინრო დარგის მიმართება დაბინძურებისა და ნარჩენების მინიმუმამდე შემცირების, დაბინძურების თავიდან აცილების პროცესების სწავლებაში;,
3. გადაიხედოს და გაუმჯობესდეს პროგრამის გაცხადებული სწავლის შედეგების მიღწევა სასწავლო კურსებში გაცხადებული სწავლის შედეგების თანხვედრის უზრუნველყოფით;
4. რეკომენდებულია, რომ მოცემული პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისა და შეფასების მექანიზმისთვის დაწესებულებამ ეფექტურად გამოიყენოს მის მიერ გაცხადებული მიდგომები - ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმები, შრომის ბაზრის მოთხოვნები - პროფესიონალთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კონსულტაცია;
5. მოდერნიზდეს პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი, რომელიც დაეფუძნება განახლებულ პროგრამის სწავლის შედეგებს (რომელიც შესაბამისობაში იქნება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეშვიდე დონესთან) და დარგობრივი სფეროს შესაბამისი ანალოგი პროგრამების ანალიზს;
6. რეკომენდებულია, რომ სწავლების პირველ ეტაპზე პროგრამაში ჩაერთოს ისეთი სასწავლო კურსები, რომელიც განიხილავს და ასწავლის გარემოს დამაბინძურებლებს წარმომადგენლებს, მათ თვისებებსა და ნორმირების საკითხებს;
7. რეკომენდებულია სასწავლო კურსებისათვის ატმოსფერული ჰაერის დაცვის ტექნოლოგია, ჰიდროსფეროს დაცვის ტექნოლოგია, საწარმოო პრაქტიკა შესაბამისი წინაპირობების დაწესება, მათ შორის პროგრამაში დამატებული სასწავლო კურსების სახით;
8. პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის გაძლიერება კვლევის მეთოდების/კვლევის დიზაინის კურსის დამატებით, რომელიც დაეხმარება სტუდენტებს ამ მიმართულებით უნარებისა და სწავლის შედეგების გაუმჯობესებაში;
9. რეკომენდებულია მე-3 დონის სასწავლო კურსების სწავლის შედეგებში აისახოს რთული ან არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის, ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის, შეფასებისა და დასკვნების ჩამოყალიბების უნარები;
10. სასწავლო კურსისათვის „გარემოსდაცვითი მენეჯმენტი“ გაუმჯობესდეს ძირითადი სასწავლო ლიტერატურა და დაემატოს თანამედროვე გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემების ISO 14001:2015 (2017) სწავლება;
11. რეკომენდებულია „ჰიდროსფეროს დაცვის ტექნოლოგიის“ სასწავლო კურსის გადამუშავება ლაბორატორიული და საკურსო სამუშაოების გაძლიერებისა და ლიტერატურული უზრუნველყოფის გზით;
12. მაგისტრატურის პროგრამის სასწავლო კურსებისათვის ათვისებისათვის საჭირო პრერეკვიზიტული ცოდნიდან გამომდინარე განისაზღვროს ის სწავლის სფეროები, რომელთა ბაკალავრები, მასთან გათანაბრებული და სწავლების ზემდგომი საფეხურებიდან პირების მიღება უნდა იქნეს დაშვებული;
13. პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით რეკომენდებულია პროგრამის სასწავლო კომპონენტების გაძლიერება, კერძოდ საუნივერსიტეტო სივრცეში ჩასატარებელი დარგობრივი პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოების გაძლიერება, მათ შორის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერების მხრივ;
14. რეკომენდებულია კურსი „საწარმოო პრაქტიკა გარემოსდაცვით ინჟინერიაში“ წარმოდგეს დარგობრივი პრაქტიკული უნარების განვითარების ფართო სპექტრით და მოიცავდეს პრაქტიკის მრავალფეროვან ბაზებს;
15. რეკომენდებულია განხორციელდეს გარემოს დაცვის ტექნოლოგიების მიმართულების დარგობრივი ლაბორატორიების მოწესრიგება და ტექნიკური განახლება სფეროს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად;

16. რეკომენდებულია პროგრამის მიერ შეფასდეს დარგობრივი ლიტერატურის განახლების საჭიროებები და სასწავლო კურსების სახელმძღვანელოების შემუშავებისას ძირითად ლიტერატურად გამოყენებულ იქნას დარგობრივი სფეროს თანამედროვე ლიტერატურა, მათ შორის დარგობრივი ლიტერატურა საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ
17. რეკომენდებულია, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებმა უზრუნველყონ და გაზარდონ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ინფორმირებულობა და ჩართულობა პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში;
18. რეკომენდებულია, პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ შემუშავებული რეკომენდაციები და გარე შეფასების შედეგები სრულად იქნას გაზიარებული პროგრამის აკადემიური გუნდის მიერ;
19. განხორციელდეს აკადემიური მოსწრების, სწავლის შედეგების შეფასების, დაინტერესებულ მხარეთა კმაყოფილების საკითხებისა და საუკეთესო ანალოგი პროგრამების სიღრმისეული და დეტალური კვლევა. კვლევის შედეგები კი აისახოს პროგრამის სხვადასხვა კომპონენტის (მიზნები, სწავლის შედეგები, კურიკულუმი, სასწავლო კურსები და სხვ.) დონეზე.

რჩევები:

1. სასურველია, შემუშავდეს სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი, სადაც წარმოდგენილი იქნება სამაგისტრო ნაშრომით გათვალისწინებული სწავლის შედეგები, ნაშრომის შესრულებისა და წარდგენის ზუსტი ინსტრუქციები, მათ შორის ნაშრომის შინაარსის, ფორმატის, აკადემიური წერის სტილისა და ციტირების წესების შესახებ;
2. წაახალისეთ სტუდენტთა ჩართულობა სამეცნიერო საქმიანობაში: სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის მოტივაციის ასამაღლებლად რეკომენდებულია პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ასპექტის გაძლიერება. ამის მიღწევა შესაძლებელია სტუდენტების ჩართულობის წახალისებით საერთაშორისო კვლევით პროექტებსა და კონფერენციებში;
3. პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის, პროგრამის განხორციელებაში მოიწვიეთ და ჩართეთ ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებიც ფლობენ დარგის შესაბამის ცოდნას და აქვთ მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება;
4. განხორციელდეს აკადემიური პერსონალის კომპეტენციის ამაღლება უცხო ენაში (ინგლისურში), შედეგზე ორიენტირებით - პერსონალმა შეძლოს გამოიყენოს თანამედროვე დარგობრივი სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურა და დაამყაროს კავშირები უცხოელ კოლეგებთან, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას;
5. პროგრამის მიერ იდენტიფიცირებული გასაუმჯობესებელი მხარისათვის დაიგეგმოს შესაბამისი აქტივობები, რისთვისაც გათვალისწინებული და გამოყენებული იქნება სტუ-ს პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა და ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მხარდამჭერი მექანიზმები;
6. სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს პროგრამისა და მისი განხორციელების შეფასების პროცესში სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების ეფექტიანი ჩართულობის მექანიზმი, ამავდროულად უზრუნველყოს შემუშავებული მექანიზმით შეფასების პროცესების უწყვეტი განხორციელება;
7. სასურველია, თვითშეფასების ჯგუფის წევრების მიერ, სამუშაო პროცესში უფრო სიღრმისეულად იქნას შესწავლილი და გაანალიზებული პროგრამის შეფასების მიზნით

შეგროვებული ინფორმაცია. ამავე ინფორმაციისა თუ მონაცემების ანალიზისა და შეფასების საფუძველზე კი იდენტიფიცირდეს პროგრამის გამოწვევები და განისაზღვროს მათ გასაუმჯობესებლად დაგეგმილი რელევანტური და კონკრეტული აქტივობები.

7. მეშვიდე საკითხი : სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერისტეტის ,,სამოქალაქო ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამოქალაქო ინჟინერია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№ 311799 25.03.2022
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	მეცნიერების ბაკალავრი სამოქალაქო ინჟინერიაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია 0732
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	აქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. № 68, თბილისი, სასწავლო კორპუსი N I, 0160, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

თვითაცილება განაცხადა- მარინე მაისურაძემ
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა, პაატა გერაძემ აღნიშნა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ 2022 წლის 25 მარტის №311799 გადაწყვეტილებით სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამას „სამოქალაქო ინჟინერია“ მიანიჭა 7 წლით აკრედიტაცია და განუსაზღვრა აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად 1 წელი (2023 წლის 11 მარტი). აკრედიტაციის საბჭომ ზეპირი მოსმენისას გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და შენიშვნები. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში უსდ-მ განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრში წარადგინა 2023 წლის 11 მარტს, აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ვადის დაცვით. უსდ-ს მიერ წარმოდგენილი ანგარიშის და ანგარიშზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე რეკომენდაციების გათვალისწინების მდგომარეობა და ამ მიმართულებით განხორციელებული აქტივობები აღწერილია რეკომენდაციების გათვალისწინების მტკიცებულებად უსდ-ს წარმოდგენილი აქვს შესაბამისი დოკუმენტები დანართების სახით.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა საბჭოს გაცნო დასკვნაში მითითებული შესასრულებელი რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია შეიცვალოს საბაკალავრო პროექტის შეფასების კომპონენტები და შეიქმნას დეტალური რუბრიკები, სადაც ნათლად გამოიკვეთება ისეთი თემები, როგორებიცაა პრობლემის დასმისა და წარმოჩენის უნარის შეფასება; თემის სიახლის დასაბუთების უნარის შეფასება; გამოყენებული წყაროები/ლიტერატურის დამოწმების და მისი მრავალფეროვნების შეფასება.
2. რეკომენდებულია შეიქმნას შეფასების დეტალური რუბრიკები საბაკალავრო პრაქტიკის დასკვნითი (დაცვის) გამოცდის შემთხვევაში.
3. რეკომენდებულია საბაკალავრო პროექტების პლაგიატის ამომცნობ პროგრამაში შემოწმება.

პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით ექსპერტმა განმარტა, რომ ინსტიტუციის მხრიდან განხორციელდა დამატებითი აქტივობები. წარმოდგენილ იქნა დოკუმენტი, დამხმარე სახელმძღვანელო „რეკომენდაციები დამამთავრებელი ნაშრომის გაფორმებისათვის“, რომელიც მოიცავს კვლევითი ხასიათის ნაშრომის, მათ შორის საბაკალავრო ნაშრომის შეფასების

რუბრიკებს, შეფასების კომპონენტებს, კრიტერიუმებს და პროცედურებს. წარმოდგენილ დოკუმენტში განხილულია პრობლემის დასმისა და წარმოჩენის უნარის; თემის სიახლის დასაბუთების უნარის; გამოყენებული ლიტერატურის შეფასების კრიტერიუმები.
რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილი იქნა საბაკალავრო პრაქტიკის კორექტირებული სილაბუსი, რომელშიც შეცვლილია შეფასების სისტემა. კერძოდ, დასკვნითი გამოცდის შეფასებისათვის მოცემულია შეფასების რუბრიკა, რომელიც უფრო მიზანმიმართულს ხდის შეფასების პროცესს. დასკვნითი გამოცდისათვის შემოღებული არის შემდეგი კომპონენტები: ანგარიშის შესრულების პროფესიული ხარისხი -30 ქულა, ანგარიშის შესრულების მოთხოვნების დაცვა – 5 ქულა, ანგარიშის პრეზენტაცია - 5 ქულა. თითოეული კომპონენტისათვის გაწერილია დეტალური რუბრიკა.
მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშრებით ექსპერტმა განმარტა, რომ ინსტიტუციას დაწყებული აქვს აკრედიტაციის საბჭოს გაცემული რეკომენდაციის შესრულება. არსებული მდგომარეობით, მიმდინარეობს "საბაკალავრო ნაშრომის" პლაგიატზე შემოწმების პროცესის ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა, რომელიც ერთდროულად უზრუნველყოფს აკადემიური კეთილსინდისიერების კონტროლის მექანიზმის გაძლიერებას და პროცესის ორგანიზებისათვის გაწეული რესურსების მინიმალურ დანახარჯებს. უახლოეს პერიოდში ინსტიტუცია გეგმავს "საბაკალავრო ნაშრომის" პლაგიატზე შემოწმების პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტის მიღებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ვინაიდან ბაკალავრებისთვის სპეციალურ პლატფორმაზე ხდება პლაგიატის შემოწმება, ჩანაწერის გაკეთება მოხდა ამ კუთხით. შესაბამისი პლატფორმა დაწესებულებას აქვს შესაბამისად, აქტიურად მიმდინარეობს რეკომენდაციის შესრულება, მაგრამ ამ ეტაპზე პროგრამაზე ბოლო სემესტრის სტუდენტ არ ირიცხება, შესაბამისად მინიმუმ ერთი წელია საჭირო, რომ სრულიად განსხვავებული პლატფორმა დაინერგოს. თუმცა ფორმალური თვალსაზრისით მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა აქვს თუ არა პროგრამას მარეგულირებელი დოკუმენტი აღნიშნულ საკითხთან მიმართებით.
საბჭოს წევრმა, თამარ სირაძემ დააზუსტა, იყენებს თუ არა დაწესებულება პლაგიატის სისტემას (straight plagiarism) მხოლოდ სამაგისტრო ნაშრომებისთვის და აღნიშნული ვერ ამოწმებს საბაკალავრო ნაშრომებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მარეგულირებელი გამომდინარეობს პლატფორმიდან რომელიც დაინერგება უნივერსიტეტში. განსხვავებულობა პლატფორმებს შორის მდგომარეობს სისტემებში. ამ ეტაპზე პლატფორმასთან დაკავშირებით მიმდინარეობს მსჯელობა ორ ვარიანტზე.
დღეს დაწესებულება იყენებს მოცემულ პროგრამას სამაგისტრო, სადოქტორო და სამეცნიერო ნაშრომებისთვის. რა შეეხება საბაკალავრო ნაშრომებს, აღნიშნული მინდობილია კვალიფიციურ ადამიანურ რესურსზე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 19:45
დასრულების დრო: 19:50

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერისტეტის ,,სამოქალაქო ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში ცნობად მიღების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება : აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერისტეტის ,,სამოქალაქო ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

დამტკიცებული დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა 2023 წლის 06 ივნისის 19:50 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი